ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრატურის მე-4 სემესტრის სტუდენტ თეა გაბიძაშვილის

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულება ადამიანის კომპანიონ ცხოველთა დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის სფეროში

შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მაია კოპალეიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორი

თბილისი 2019

სარჩევი

I. შემოკლებანი iii

II. შესავალი 1

1.სახელმწიფოს მიერ კომპანიონ ცხოველთა დაცვის ვალდებულების წარმოშობა..... 5

2. კომპანიონი ცხოველი 7

2.1 განსხვავებული სამართლებრივი რეგულირება ცხოველთა სხვადასხვა ჯგუფების მიმართ 7

2.2. კომპანიონი ცხოველის ცნების განმარტება საქართველოს კანონმდებლობით 9

2.3 საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა კომპანიონი ცხოველის ცნების განმარტებასთან დაკავშირებით 10

3. „ცხოველთა კეთილდღეობის“ ცნება 13

3.1. განსხვავება ცხოველთა უფლებებსა და კეთილდღეობას შორის..... 13

3.2 "ცხოველთა კეთილდღეობის" ცნების განმარტება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით 14

3.3 "ცხოველთა კეთილდღეობის" ცნების საკანონმდებლო განმარტება ლიტვაში, ლატვიასა და საბერძნეთში 16

3.4 ცხოველთა კეთილდღეობის" ცნების საკანონმდებლო განმარტება საქართველოში 16

4. ცხოველთა დაცვის საერთაშორისო და საზღვარგარეთის ქვეყნების საკანონმდებლო ბაზა..... 17

5. კომპანიონი ცხოველების კეთილდღეობის უზრუნველყოფის საკანონმდებლო რეგულირება..... 19

5.1 საქართველო 20

5.2 საერთაშორისო პრაქტიკა 22

5.2.1 ინგლისი..... 22

5.2.2 ამერიკის შეერთებული შტატები 25

5.2.3 ავსტრალია 28

6. კომპანიონ ცხოველთა დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ძირითადი მექანიზმები 31

6.1. ცხოველთა პოპულაციის კონტროლი 31

6.1.1.იდენტიფიკაცია/რეგისტრაცია 32
6.1.2. სტერილიზაცია/კასტრაცია 34
6.1.3 ევთანაზია 36
6.1.4. თავშესაფარი 38
6.2 კანონის აღსრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ინსტიტუტის არსებობა. 42
6.2.1 კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის მაკონტროლირებელი ორგანო 42
6.2.1 ცხოველთა მონიტორინგის ოფიცრები 44
6.3. ერთიანი კანონის არსებობა 47
6.3.1. კანონის მიღების აუცილებლობა კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად 47
6.3.2 „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ კანონპროექტის მოკლე მიმოხილვა 48
6.4 ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კომპანიონი ცხოველისათვის ზიანის მიყენების შემთხვევებზე სათანადო რეაგირება 51
6.5 ცნობიერების დონის ამაღლება 53
III. დასკვნა 56
IV. გამოყენებული ლიტერატურა 59

I. შემოკლებანი

ქართულ ენაზე:

სააგენტო	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო
ქ.	ქალაქი
ასკ	საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
სსკ	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
ე.წ	ეგრეთ წოდებული
სხვ.	სხვა
ა.შ.	ასე შემდეგ
გვ.	გვერდი
რედ.	რედაქტორი
ე.ი.	ესე იგი
იხ.	იხილეთ

ინგლისურ ენაზე:

The ASPCA	American Society for the Prevention of Cruelty
OIE	World Organisation for Animal Health
WSAVA	World Small Animal Veterinary Association

II. შესავალი

ადამიანთა და ცხოველთა კეთილდღეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მათ მიმართ, ვისაც მოვიშინაურებთ და ეს არ არის მხოლოდ ლიტერატურული გადახვევა. ეს არის რეალობა, რომლისგანაც სამწუხაროდ დღეს ძალიან შორს ვართ. კომპანიონ ცხოველთა დაცვის სფეროში, დღევანდელ საქართველოში უამრავი პრობლემაა, რომელთა იგნორირებამ შეიძლება სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს.

წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეულია ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულება ადამიანის კომპანიონ ცხოველთა დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის სფეროში. განსახილველი თემა მეტად აქტუალურია, რამდენადაც საკანონმდებლო დონეზე არსებობს არაერთი ხარვეზი, რაც შემდეგომ ასახვას ჰპოვებს ყოველდღიურ ცხოვრებაში და პრობლემებს წარმოშობს პრაქტიკული თვალსაზრისით. დროთა განმავლობაში იზრდება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ადამიანისა და ცხოველის თანაცხოვრების პირობებში განახორციელოს, ერთი მხრივ ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების, ხოლო მეორე მხრივ - ცხოველთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა გონივრული ბალანსის უზრუნველყოფის მეშვეობით.

კომპანიონი ცხოველებისათვის „ოჯახის წევრის სტატუსის“ მინიჭების გათალისწინებით საინტერესოა, რამდენად მაქსიმალურად არის უზრუნველყოფილი მათი კეთილდღეობა და რა მექნიზმებს იყენებს სახელმწიფო აღნიშნულის მისაღწევად.

სამწუხაროდ, კომპანიონ ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის გახშირებული შემთხვევები არის უშუალო მტკიცებულება იმისა, რომ დღესდღეობით, საქართველოში მოქმედი რეგულაციები და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული მოქმედებები ვერ უზრუნველყოფენ მათ დაცულობასა და კეთილდღეობას.

კვლევის ფარგლებში შესწავლილია, სახელწიფო ორგანოების როლი ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველების თანაარსებობის უსაფრთხო და საიმედო გარემოს შექმნაში. აღნიშნულის გარდა, განხილულია განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა, რომელთა გათვალისწინებითაც საქართველოში უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ჩვენს გვერდით მობინადრე ცოცხალი არსებების [1] მოვლა-პატრონობისა და მათი

[1] ნაშრომის ფარგლებში სიტყვათა წყობა- „ჩვენ გვერდით მობინადრე ცოცხალი არსებები“ მოიცავს მხოლოდ კომპანიონ ცხოველებს.

პოპულაციების მართვის თანამედროვე მსოფლიოში აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დამკვიდრება /გამოყენება.

თემის კვლევისას, აქცენტი გაკეთებულია ისეთ მნიშვნელოვან პრობლემაზე, როგორიცაა საქართველოში ერთიანი კანონის არ არსებობა, რომელიც დაარეგულირებდა კომპანიონ ცხოველებთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს. წლებია უკვე კანონპოექტზე მიმდინარეობს მუშაობა, თუმცა ჯერ-ჯერობით უშედეგოდ. დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიონ ცხოველთა დაცვისა და მათი მოვლა - პატრონობის მარეგულირებელი წესების დადგენა და აღსრულება ადგილობრივი თვითთმმართველობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს. მათი უმეტესობა სამწუხაროდ არ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას. საქართველოში არის არაერთი მუნიცილაპიტეტი, რომელთა ტერიტორიაზეც ფაქტობრივად არ არსებობს კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველმყოფი სამართლებრივი რეგულირება. როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ცხოველთა მიმართ ზიანის მიყენების შემთხვევები, რასაც ფაქტია ადგილობრივ დონეზე მოქმედი საკანონმდებლო აქტები ვერ უმკლავდებიან. მნიშვნელოვანია, საქართველომ გაითვალისწინოს ინგლისში დამკვიდრებული პრაქტიკა და დაუყონებლივ მიიღოს კანონი, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის ერთიანი სტანდარტების დადგენას და მათ დაცვას მთელს ტერიტორიაზე.

სამაგისტრო ნაშრომში გაანალიზებულია, კომპანიონიონი ცხოველის და კეთილდღეობის ცნებების განმარტების, როგორც საქართველოში ასევე საერთაშორისოდ დადგენილი პრაქტიკა. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილებულია ჩვენს გვერდით მობინადრე ცოცხალ არსებათა დაცვისა და კეთილდღეობის მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულების მნიშვნელობაზე. სამართლებრივი აქტი ვერ იქნება ეფექტური, როდესაც ქვეყანაში არსებობს „დაუსჯელობის სინდრომი“. საქართველოში ფაქტობრივად არ ფიქსირდება კომპანიონ ცხოველთა მიმართ მიყენებული ზიანისათის, ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან შესაბამისი რეგირება. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საქმისწარმოების დასრულება და დამნაშავის დასჯა ხდება მსუბუქი ჯარიმებით. უმეტეს შემთხვევებში, კი ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები რეაგირების გარეშე რჩება. საინტერესოა, ამ მხრივ განვითარებულ ქვეყნებში დამკვიდრებული „ცხოველთა ოფიცრის“ ინსტიტუტი, რომლიც დეტალურად არის მიმოხილული ნაშრომში.

აღნიშნულის გარდა, ყურადღება გამახვილებულია, ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა კანონის აღსრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ინსტიტუტის არ არსებობა ჩვენს ქვეყანაში, რის შედეგსაც წარმოადგენს მუნიციპალიტეტების მიერ დადგენილი წესები, რომლებიც ფაქტობრივად უმოქმედო და „მკვდარია“.

სამაგისტრო ნაშრომში გამოკვლეულია ქუჩაში მცხოვრებ ძაღლებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების ძირითადი მექანიზმები. განსახილველი საკითხი არის მეტად აქტუალური, ვინაიდან ასეთი ცხოველები, შეიძლება იყვნენ აგრესიულები და ინფექციის აქტიური გამავრცელებლები. ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან, აუცილებელი ზომების მიუღებლობის შემთხვევაში, კი ისინი საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. სწორედ, ადგილობრივ ხელისუფლებას ეკისრება ვალდებულება დაიცვას ბალანსი მისი მოქალაქეებისა და ქუჩაში მცხოვრები ძაღლების კეთილდღეობის უზრუნველყოფისას. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საფრთხის პრევენციისთვის ცხოველების მიმართ განხორციელებული ღონისძიებები იყოს ჰუმანური და საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამიმისი. რაც შეეხება საზოგადოებისა და ცხოველების ერთ გარემოში, მშვიდობიანი და ჯანსაღი თანაარსებობის მისაღწევად, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოყენებულ მეთოდებს, ეს საკითხი დეტალურად იქნება მიმოხილული კვლევის ფარგლებში.

სავალალო მდგომორეობაა საზოგადოების ცნობიერების კუთხით, საიდანაც შეიძლება ითქვას, რომ მომდინარეობს ყველა ძირითადი პრობლემა. სამწუხაროდ, ეს ეხება როგორც მოქალაქეებს, ასევე გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ პირებს. საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა არ იცის, რას ნიშნავს იყოლიო კომპანიონი ცხოველი, როგორ უნდა უზრუნველყო მისი კეთილდღეობა და რა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები მოყვება მას. შესაბამისად, ნაშრომში გამოკვეთილია სახელმწიფოს როლი,იზრუნოს მისი მოქალაქეების ცნობიერების დონის ამაღლებაზე. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განსახორციელებელი ის ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობასა და მათ მიმართ ჩადენილი სასტიკი ქმედებების შემცირებას, ასევე აამაღლებს შეგნებასა და პასუხისმგებლობის გრძნობას.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში კომპანიონ ცხოველებთან დაკავშირებით მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა, მასში არსებული ხარვეზების გამოკვლევა, ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებლობის განსაზღვრა, არსებული პრობლემების წამოჭრა და ჩვენ

გარშემო მობინადრე ცოცხალ არსებათა კეთილდღეობის უზრუნველფის ხარისხის გაზრდის ხელშეწყობა.

განსახილველი თემის არსის სრულად გასაგებად და შესასწავლად გამოკვლეული იქნება განვითარებული ქვეყნების: ძირითადად აშშ-ს, ინგლისის, ავსტრალიის გამოცდილება.

რამდენადაც, საკვლევ თემაზე არ მოიპოვება ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა და ფაქტობრივად, იგი არის სრულიად დაუმუშავებელი, წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, შესაწავლილ იქნეს საქართველოს საკანონმდებლო ბაზა და ადგილობრივი თვითმმართველობის როლი კომპანიონ ცხოველთა დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის სფეროში.

კვლევის მეთოდი: ნაშრომში გარკვეული საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით არსებული მასალის (კვლევები, ანგარიშები) დამუშავებისას გამოყენებული იქნება ლოგიკური, სისტემური და ისტორიული კვლევის მეთოდები. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდება სტასისტიკურ და შედარებით-სამართლებრივ ანალიზზე. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს ასევე, საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების კვლევას, მედია მონიტორინგს, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას და ინდივიდუალურ ინტერვიუებს.

ნაშრომის სტრუქტურა: სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, ექვსი თავისა და დასკვნისაგან. პირველ თავში მიმოხილული იქნება მოკლე ისტორიული რაკურსი სახელმწიფოს მიერ კომპანიონ ცხოველთა ვალდებულების წარმოშობასთან დაკავშირებით. მეორე და მესამე თავები დაეთმობა ისეთ საკითხებს, როგორიცაა კომპანიონი ცხოველისა და მათი კეთილდღეობის ცნებები, რას ნიშნავს თითოეული მათგანი და როგორ განიმარტება, როგორც საერთაშორისო, ასევე, ქართული კანონმდებლობის მიხდვით. მეოთხე თავში მიმოხილული იქნება ცხოველთა დაცვის საერთაშორისო და საზღვარგარეთის ქვეყნების საკანონმდებლო ბაზები. შემდეგ თავში აქცენტი გაკეთებული იქნება კომპანიონ ცხოველთა კედილდღეობის მარეგულირებელ საკანონმდებლო ბაზაზე როგორც, საქართველოს, ასევე განვითარებული ქვეყნების - აშშ-ს, ინგლისის, ავსტრალიის, მიხედვით. მეექვსე თავში დეტალურად იქნება განხილული კომპანიონ ცხოველთა დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ისეთი ძირითადი მექანიზმები, როგორიცაა პოპულაციის მართვა/კონტროლი, კანონის აღსრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ინსტიტუტისა და ერთიანი კანონის არსებობის აუცილებლობა, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ

კომპანიონი ცხოველისათვის ზიანის მიყენების შემთხვევებზე სათანადო რეაგირება და ბოლოს, შევეხები ჩვენი საზოგადაოებისათვის ცნობიერების დონის ამაღლების მნიშვნელობას. ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი იქნება კვლევის შედეგების შეჯამება და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება და კანონმდებლობაში ასახვა ხელს შეუწყობს საქართველოში, კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესებას.

ვფიქრობ, ნაშრომი საინტერესო იქნება ცხოველთა დაცვის და კეთილდღეობის უზრუნველყოფის სფეროს მოწესრიგებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის და თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს არსებული პრობლემების უკეთესად გაანალიზებაში და კომპანიონ ცხოველთა დაცვის ეფექტური მექანიზმის ფორმირებაში.

1.სახელმწიფოს მიერ კომპანიონ ცხოველთა დაცვის ვალდებულების წარმოშობა

კაცობრიობისთვის ცნობილია, რომ ადამიანებს აკისრიათ უდიდესი მორალური ვალდებულება ყველა ცოცხალი არსების და განსაკუთრებით, კომპანიონი ცხოველების წინაშე, რომლებთანაც ორმხრივი სიახლოვე აკავშირებთ.

ცხოველები ყოველთვის იყვნენ ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილები. მათი მოშინაურება უხსოვარი დროიდან დაიწყო. ჯერ კიდევ, პირველყოფილი ადამიანები, გამოქვაბულებში აკეთებდნენ სხვადასხვა შინაარსის ნახატებს ცხოველების გამოსახულებით, რომელთაგან ზოგიერთი 35000 წლის წინაა შესრულებული.[2] მოშინაურების მიზნები თავდაპირველად იყო, მხოლოდ, გამოყენებითი ხასიათის(მაგ. როგორც საკუთრება, საჭმელი, და სხვა.).[3] თუმცა, მთელი ამ წლების განმავლობაში, კომპანიონი ცხოველების (ძითადად კატა, ძაღლი) როლმა ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. მსოფლიოს მასშტაბით შეიცვალა დამოკიდებულება მათ მიმართ და დღესდღეობით, ისინი განიხილებიან, როგორც ოჯახის წევრები. ჩვენ გვერდით მობინადრე ცოცხალ არსებებს უდიდესი ღირებულება გააჩნიათ

[2] WSAVA, Animal Welfare Guidelines, 2018, გვ. 10. ხელმისაწვდომია:https://www.wsava.org/WSAVA/media/resources/Guidelines/WSAVA-Animal-Welfare-Guidelines-(2018).pdf.

[3] P. W.C. Wong/ R. W.M. Yu/J. T.K. Ngai, Companion Animal Ownership and HumanWell-Being in a Metropolis—The Case of Hong Kong, International Journal of Environmental Research and Public Health, 16, 1729, 2019, გვ.1. პირველწყარო იხ. Walsh, F. Human-animal bonds 1: The relational significance of companion animals. Fam. Process. 2009, 48, 462–480.

საზოგადოებისათვის. არსებობს მზარდი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ამტკიცებს, რომ კომპანიონი ცხოველის ყოლა ადამიანისათვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური სარგებლის მომტანია.[4]

ცხოველის, როგორც კომპანიონის, ყოლა დღევანდელ სამყაროში, წარმოადგენს გლობალურ ფენომენს.[5] აღნიშნულისა დასადასტურებლად არსებობს მრავალი სტატისტიკა. მაგალითად, 2016 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, დედამიწის მოსახლეობის 57% ჰყავს კომპანიონი ცხოველი.[6] სამწუხაროდ, ამ მხრივ, საქართველოში არ არსებობს რაიმე სახის რაოდენობრივი მონაცემები, თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთანაც, ისევე როგორც, სხვა მრავალ ქვეყანაში, ფართოდ არის გავრცელებული ძაღლისა და კატის, როგორც „კომანიონი ცხოველის“ ყოლის ტენდენციაა.

მართალია, ცხოველთა დაცვის სამართალი სულ ახალია, თუმცა მათ მნიშვნელობას და ეთიკურ ღირებულებას ჩვენთვის დიდი ისტორია გააჩნია, რომლის განმავლობაშიც შეიცვალა სხვადასხვა გაბატონებული სოციალური ნორმები, ეკონომიკური მდგომარეობა, სამეცნიერო შეხედულებები ცხოველების შემეცნებითი და ემოციური შესაძლებლობების შესახებ და დაიწყო ცხოველთა დაცვის მოძრაობის გაჩენა.[7]

ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების კონტროლი, როგორც საზოგადოების ფუნქცია, სათავეს იღებს ინგლისში 1700 წლიდან, როდესაც მოსახლეობის ყურადღების ქვეშ პირველად მოექცა ცოცხალი არსების მიმართ გამოვლენილი ძალადობა და სასტიკი მოპყრობა. ამას ნელ-ნელა მოჰყვა პირველი კანონის მიღება ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის სფეროში.[8]

ჩვენს საზოგადოებას დღემდე მყარად სჯერა, რომ მასთან მობინადრე ცოცხალი არსება არის უსულო საგანი, რომელიც წარმოადგენს მის საკუთრებას, რომ ძაღლი უნდა იყოს ქუჩაში, მუდმივად დაბმულ მდგომარეობაში და სხვა მსგავსი, დამკვიდრებული არასწორი წარმოდგენების. მაშინ, როდესაც საზღვარგარეთის არაერთ ქვეყანაში ცხოველთა დაცვა კონსტიტუციაში არის

---

[4] M. Verga/M. Michelazzi, Companion animal welfare and possible implications on the human-pet relationship, Ital.J.Anim.Sci. vol. 8,2009, გვ.232.

[5] WSAVA, Animal Welfare Guidelines, 2018, გვ. 10. ხელმისაწვდომია:https://www.wsava.org/WSAVA/media/resources/Guidelines/WSAVA-Animal-Welfare-Guidelines-(2018).pdf.

[6] იხ. Animal Medicines Australia, Pet Ownership in Australia,2016, გვ.15. ხელმისაწვდომია: http://www.animalmedicinesaustralia.org.au/wp-content/uploads/2016/11/AMA_Pet-Ownership-in-Australia-2016-Report_sml.pdf .

[7] იხ.N. R. Pallotta, Chattel or Child: The Liminal Status of Companion Animals in Society and Law, Animal Legal Defense Fund, USA, 2019, გვ. 1.

[8] St. Aronson, Animal conrtol management a new look at public responsibility, indiana, 2010, გვ 10.

განმტკიცებული. მაგალითად, შვედეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც 1992 წელს ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე, კონტიტუციით აღიარა ცოცხალი არსების ღირსების დაცვის უფლება.[9]

დროთა განმავლობაში, ცხოველების მიმართ არასწორი მოპყრობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებამ და ცნობიერების ამაღლებამ, ვალდებული გახადა სახელმწიფოები კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით განეხორციელებინათ მნიშვნელოვანი ცვლილებები მათი კონტროლისა და დაცვის სფეროში.

დღევანდელი კომპანიონ ცხოველთა მოვლისა და კონტროლის მექანიზმები, პირველ რიგში, უზრუნველყოფს საზოგადოების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას და, ადრინდელისაგან გასხვავებით, ამასთანავე, ყურადღებას ამახვილებს ჩვენს გვერდით მობინადრე ცოცხალი არსებების დაცვასა და კეთილდღეობაზე.

2. კომპანიონი ცხოველი

2.1 განსხვავებული სამართლებრივი რეგულირება ცხოველთა სხვადასხვა ჯგუფების მიმართ

ყველასათვის ცნობილია, რამდენად მრავალფეროვანია ცხოველთა სამყარო. შესაბამისად, არსებობს განსხვავებული საკანონმდებლო რეგულაციები კონკრეტული ჯგუფებისთვის, რომლებშიც ხდება სხვადასხვა სახეობის ცხოველების განაწილება, მათი თვისებებისა და საჭიროებების გათვალის-წინებით. მაგალითად, საქართველოს კანონი "ცხოველთა სამყაროს შესახებ" ცხოველთა სამყაროს განმარტავს როგორც, ყველა სახის გარეული ცხოველების ერთობლიობას[10]. როგორც ვხედავთ, კანონის მიხედვით აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ ერთი ჯგუფზე და არ არის საუბარი ცხოველთა სამყაროს სხვა წარმომადგენლებზე. მსოფლიოში აღიარებული კლასიფიკაციის მიხედვით, ცხოველები იყოფა გარეულ და შინაურ ცხოველებად, ხოლო ამ უკანასკნელის

[9] M. Michel/ E. Schneider Kayasseh, The Legal Situation of Animals in Switzerland:Two Steps Forward, One Step Back –Many Steps to go, Journal of Animal Law, Vol. VII, Michigan State University College of Law, (2011), გვ. 3. ხელმისაწვდომია: https://www.afgoetschel.com/de/downloads/legal-situation-of-animals-in-switzerland.pdf.

[10] საქართველოს კანონი "ცხოველთა სამყაროს შესახებ", მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი.

ქვეკატეგორიად შეგვიძლია მოვიაზროთ ადამიანის კომპანიონი ცხოველები,[11] რომლებიც ჩვენ არა გამოყენებისთვის, არამედ სოციალური ურთიერთობებისთვის აგვყავს.

ცხოველთა კლასიფიკაცია და ამის მიხედვით, მათ მიმართ განსხვავებული კანონმდებლობის გამოყენება, ეფუძნება ადამიანების ურთიერთობას ცხოველებთან. მაგალითისთვის, განვიხილოთ კურდღელი. მის მიმართ არსებული საკითხების რეგულირება სხვადასხვა კანონებით დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა ის ადამინის კომპანიონი ცხოველი, გარეული, საკვებად განკუთვნილი, მისი გამოიყენება ხდება ბეწვისთვის თუ მასზე ცდიან ახალ ვაქცინებს. მიუხედავად იმისა, რომ კურდღელი ყველა შემთხვევაში ზუსტად იგივე ქმნილებაა, საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც მას ეხება კონკრეტულ სიტუაციაში, ნაკარნახევია ადამიანისა და ცხოველის ურთიერთობებითა და მათ შორის არსებული დამოკიდებულებით.[12]

იმისათვის, რომ დავადგინოთ ესა თუ ის ცხოველი მიეკუთვნება თუ არა კომპანიონ ცხოველთა კატეგორიას, აუცილებელია დავაკვირდეთ ურთიერთობასა და დამოკიდებულებას პატრონსა და ცხოველს შორის. თუ ცხოველს მოვიაზრებთ კომპანიონად ადამიანს მასზე ექნება მეტი უფლებები, თუმცა, ამასთანავე მომეტებული პასუხისმგებლობაც.[13]

კომპანიონად მიჩნეულ ცხოველებსა და ადამიანებს შორის არსებობს განსაკუთრებული, ორმხრივი, სიყვარული და ერთგულება. ეს ურთიერთობები არ გულისხმობს რაიმე გამორჩენასა და ეკონომიურ სარგებელს. ადამიანი თავის საყვარელ კომპანიონებთან ყოფნით იღებს დადებით ემოციებს და ეს სრულიად საკმარისია მისთვის.[14] ისინი დიდ როლს თამაშობენ ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანისა და მისი კომპანიონი ცხოველის ურთიერთობაზე უამრავი კვლევა არის ჩატარებული. მაგალითად, 2016 წელს გამოკითხული ძაღლის მეპატრონეების 93% აღნიშნავს, რომ მისმა კომპანიონმა ცხოველმა ის უფრო უკეთესი, ყურადღებიანი, მომთმენი და ბედნიერი გახადა.[15] შესაბამისად, მათ

---

[11] იხ. A. Passantino, Companion Animals: An Examination of Their Legal Classification in Italy and the Impact on their Welfare, Journal of Animal Law, Vol. IV, April 2008, გვ 61.
ხელმისაწვდომია https://www.animallaw.info/sites/default/files/jouranimallawvol4_p59.pdf.

[12] იხ. Ch. D. Seps, animal law evolution: treating pets as persons in tort and custody disputes,2010, გვ. 1340.
ხელმისაწვდომია https://illinoislawreview.org/wp-content/ilr-content/articles/2010/4/Seps.pdf

[13] იქვე, გვ. 61.

[14] იხ, კ. მიქაძე, შინაურ ცხოველთა ქცევა,თბილისი, 2014, გვ. 172.

[15] Kelton Global, New Study Finds Dogs Make People Better, Happier and Healthier Humans. Blog Post,2017. ხელმისაწვდომია:https://www.keltonglobal.com/recognition/new-study-finds-dogs-make-people-betterhappier-healthier-humans/ (ნანახია 25.04.19).

მიმართ სასტიკი მოპყრობა კიდევ უფრო დიდი დანაშაულია, რადგან ისინი ადამიანის მეგობრები არიან, ხშირად განიცდებიან, როგორც ოჯახის წევრები და მათ მიმართ სისასტიკე ზნეობრივად დამანგრეველი შედეგის მომტანია.

2.2. კომპანიონი ცხოველის ცნების განმარტება საქართველოს კანონმდებლობით

საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში, ტერმინს "კომპანიონი ცხოველი", ვხვდებით, მხოლოდ, ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებულ ზოგიერთ დადგენილებაში.

შეიძლება ითქვას, რომ დღეის მდგომარეობით, საქართელოში არ არსებობს ცნების ერთიანი განმარტება. იკვეთება მუნიციპალიტეტების მიერ არაერთგვაროვანი მიდგომა. ზოგიერთ დადგენილებაში პირდაპირ ვკითხულობთ კომპანიონი ცხოველის განმარტებას. ზოგიერთის მიხედვით, კი რეგულაცია ეხება მხოლოდ ძაღლს და კატას. ამ მხრივ საინტერესოა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილება, სადაც ვნახულობთ, რომ "ეს წესი ადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების (შემდგომში – ცხოველები) ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის პირობებს".[16] ასევე, მნიშვნელოვანია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგულაცია, რომელის მიხედვითაც, შინაურ ცხოველში მოიაზრება ძაღლი, კატა და სხვა კომპანიონი ცხოველი[17], ხოლო ეს უკანასკნელი განმარტებულია, როგორც "ცხოველი, რომლის სახეობასაც არ იყენებენ სამეურნეო ფერმერული დანიშნულებით, ასევე ნებისმიერი სახეობის ცხოველი, რომელზედაც მისი მეპატრონე ახორციელებს მოვლა-პატრონობას, არ იყენებს სამეურნეო ფერმერული დანიშნულებით და მისი ყოლა ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით“.[18] აქვე ვხვდებით ფერმერული ცხოველის დეფინიციას, რომელიც მოიცავს "ცხოველს, რომელსაც იყენებენ ფერმერული დანიშნულებით, მისგან იწარმოება პროდუქცია და ამავდროულად ისტორიულად არ წარმოადგენს ადამიანის კომპანიონ ცხოველს".[19] ანალოგიური

---

[16] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის დადგენილება №7-28 "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ", 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი.

[17] წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 მაისის №36 დადგენილება " წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესი", 1-ლი მუხლი.

[18] იქვე, მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი.

[19] იქვე, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი.

ტერმინთა განმარტება არის წარმოდგენილი, ასევე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 ივნისის №41 დადგენილებაში.

განხილულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს "კომპანიონი ცხოველის" ცნების ზოგადი სახის განმარტებას და მასში მოიაზრებს ძაღლს, კატას და სხვა კომპანიონ ცხოველებს. საინტერესოა, რომელი სახეობები ერთიანდებიან "სხვა კომპანიონ ცხოველთა" კატეგორიაში? სამწუხაროდ, ამასთან დაკავშირებით არც ერთი მოქმედი დადგენილება არ ითვალისწინებს მითითებას ან რაიმე სახის განმარტებას. საკითხისადმი ასეთმა მიდგომამ, სრულიად შესაძლებელია, გარკვეული შემთხვევების რეგულირებისას მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოშვას. აუცილებელია ნორმა კონკრეტულად ადგენდეს, თუ რომელი ცხოველი ერთიანდება კომპანიონთა კატეგორიაში, რათა თავიდან იყოს აცილებული ბუნდოვანება და მისი თანამდევი შედეგები.

მნიშვნელოვანია, რომ მოქმედი კანონმდებლობით ითვალისწინებს ნებისმიერ ცხოველზე კერძო პირისათვის ყოლის უფლების მინიჭებას.[20] მაგალითად, მელა, რომელიც არის გარეული ცხოველი. შესაძლებელია, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს ნებართვით პირს ჰყავდეს პირად საკუთრებაში. კონკრეტულად ცხოველის ამ სახეობის ინდივიდები მსოფლიოს მაშტაბით ბევრს ჰყავს მოშინაურებული და საქართველოშიც არის ამის მაგალითები. ასეთ შემთხვევაში, მელა ჩაითვლება თუ არა კონკრეტული პირის კომპანიონ ცხოველად? ან მსგავსი მაგალითები სხვა სახეობებზე: ზაზუნა, ცხენი, ციყვი, კურდღელი და ა.შ. ასევე, მნიშვნელოვანია, დადგინდეს კომპანიონ ცხოველებში იგულისხმებიან თუ არა ფრინველები, მაგალითად: თუთიყუში, მტრედი, ჩხიკვი, ფარშევანგი, კაკაბი და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველია საკანონმდებლო აქტში მოხდეს ცხოველების კლასიფიკაცია და იმ სახეობების ჩამოთვლა, რომლებიც გაერთიანდებიან კომპანიონთა კატეგორიაში.

2.3 საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა კომპანიონი ცხოველის ცნების განმარტებასთან დაკავშირებით

ტერმინის "კომპანიონი ცხოველების" ერთიანი, საერთაშორისოდ აღიარებული, დეფინიცია არ არსებობს. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში ის განსხვავებული მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს და მოიაზრებდეს

[20] საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ, მუხლი 35.

სხვადასხვა სახეობის ცხოველებს. მნიშვნელოვანია კომპანიონი ცხოველების დაცვის ევროკონვენციის განმარტება, რომლის შესაბამისად, კომპანიონად განიხილება ყველა ის ცხოველი, რომელიც დაცულია ადამიანის მიერ, ოჯახურ გარემოში, მათი პირადი სიამოვნებისა და მეგობრული ურთიერთობის მიზნით.[21] კონვენციის განმარტებითი ბარათის მიხედვით, აღნიშნულ კატეგორიაში არ მოიაზრებიან ცხოველები, რომლებსაც იყენებენ სურსათის, ბეწვის, ბუმბულის, ტყავის და სხვა ცხოველური პროდუქტის საწარმოებლად. ასევე ცხოველები, რომლებიც იმყოფებიან ცირკში, ზოოპარკში და ცხოველები, რომლებზეც ტარდება ექსპერიმენტები ან სამეცნიერო კვლევები.[22]

საქართველოს მსგავსად, საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში ვხვდებით კომპანიონი ცხოველის ზოგადი სახის განმარტებას, რაც გულისხმობს ძირითადად ძაღლსა და კატას. ამასთანავე, არის სახელმწიფოები, რომლეთა რეგულაციებიც ითვალისწინებს კონკრეტულად იმ სახეობების ჩამონათვალს, რომელიც მოიაზრება განხილულ კატეგორიაში. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ამერიკის შეერთებული შტატები. აშშ-ს ფედერალური კანონი ,,ცხოველთა კეთილდღეობის რეგულაციების შესახებ“ კომპანიონ ცხოველებად ასახელებს ძაღლს, კატას, ზღვის გოჭს, კურდღელსა და ზაზუნას. [23]

საინტერესოა, ასევე ავსტრალიის კანონმდებლობა, რომლიც გარკვეულწილად, მსგავსია საქართველოს ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული დადგენილებების. ახალი სამხრეთ უელსის მიერ 1987 წელს მიღებული კანონი "კომპანიონი ცხოველების შესახებ" კომპანიონ ცხოველში მოიაზრებს ძაღლს, კატას ან სხვა კომპანიონ ცხოველს.[24] ავსტრალიის კანონმდებლობით, ცნების განმარტებისას განსახვებული მიდგომა იკვეთება უშუალოდ შტატების მიერ მიღებულ დადგენილებებში. მაგალითად, კურდღლის ყოლა, როგორც კომპანიონ ცხოველად აკრძალულია ქუიქსლენდში, მაშინ როცა დასაშვებია ახალ სამხრეთ უელსში.[25] აღნიშნულისგან განსხვავებით, კონკრეტულ სახეობებზე მითითებას

---

[21] European Convention for the Protection of Pet Animals, Strasbourg, 13.XI.1987, Chapter I, Article 1 – Definitions.

[22] A. Steiger, Pet animals: housing, breeding and welfare; Ethical Eye - Animal Welfare, Council of Europe Publishing, Belgium, November 2006, გვ. 111.

[23] Code of Federal Regulations, Title 9- Animals and Animal Products, Chapter 1, Subchapter A, §1.1 Definitions.
(https://www.govinfo.gov/content/pkg/CFR-2016-title9-vol1/xml/CFR-2016-title9-vol1-chapI-subchapA.xml)

[24] New South Wales, Companion Animals Act 1998 No 87, Part 1, 5 Definitions.

[25] Queensland Government, Keeping exotic animals as pets in Queensland. ხელმისაწვდომია https://www.qld.gov.au/families/government/pets/keeping-exotic-animals-as-pets-in-queensland (ნანახია 18.06.2019).

არ ვხვდებით პოლონეთის კანონმდებლობაში. პოლონეთში ცხოველთა უფლებების დაცვის კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტია "ცხოველთა დაცვის შესახებ" კანონი, რომლის მიხედვითაც, კომპანიონად მოიაზრება ისეთი ცხოველი, რომელიც ტრადიციულად ცხოვრობს ადამიანთან ერთად სახლში და არის მისი თანამგზავრი.[26]

რამდენადაც, არ არსებობს კომპანიონი ცხოველის საერთაშორისოდ აღიარებული, ერთიანი განმარტება, ბუნებრივია ჩნდება ბევრი კითხვა ტერმინის დეფინიციასთან დაკავშირებით. ეს საკითხი ყოველთვის იყო განხილვის საგანი, რაზეც მეტყველებს ამერიკის შეერტებული შტატების უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე - ხალხი გარსიას წინააღმდეგ.[27] აღნიშნული საინტერესოა, რამდენადაც აქ ვხდებით მსჯელობას თევზის, როგორც კომპანიონი ცხოველის განსაზღვრის საკითხზე.

როგორც საქმის გარემოებებიდან იკვეთება, მოპასუხემ, მაიკლ გარსიამ, სასტიკად ცემა მეგობარი ქალი. გარდა ამისა, დაამსხვრია მისი ოქროს თევზის აკვარიუმი, რის შემდეგაც თევზს ფეხი დაადგა და მოკლა. ის დამნაშავებდ იქნა ცნობილი, რა თქმა უნდა, ძალადობისთვის, თუმცა ამასთანავე კომპანიონი ცხოველის მიმართ სასტიკად მოპყრობისთვისაც. მოპასუხე მხარე აპელირებდა იმაზე, რომ თევზი არ შეიძლება იყოს კომპანიონი ცხოველი, რადმენადაც მასსა და ადამიანს შორის ვერ იქნება ისეთი ურთიერთპატივისცემის განცდა, როგორიც არის ადამიანსა და ძაღლს ან კატას შორის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიონ ცხოველებად მოიზრებიან კატა, ძაღლი და სხვა მოშინაურებული ცხოველები. რამდენადაც, ამერიკის შეერტებულ შტატებში ჯერ კიდევ 1853 წლიდან დამკვიდრდა თევზის სახლში ყოლის ტენდენცია და ამ პერიოდიდან მოყოლებული ამერიკის ტერიტორიაზე მილიონობით ადამიანს ჰყავს ის აკვარიუმში. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ეს კონკრეტული სახეობა მიეკუთვნება კომპანიონ ცხოველთა კატეგორიას.

როგორც ზემოთ განხილულიდან იკვეთება, კომპანიონ ცხოველებად, ყველა შემთხვევაში, მოიაზრებიან ძაღლი და კატა. რაც შეეხება სხვა სახეობებს ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა არ არსებობს. აღნიშნული

---

[26] Małgorzata Bednarczyk, The laws protecting pets in Poland, Seria: Administracja i Zarządzanie (40) 2017, გვ. 125. ხელმისაწვდომია;https://repozytorium.uph.edu.pl/bitstream/handle/11331/1412/Bednarczyk.M.The_laws_protecting_pets_in_Poland.pdf?sequence=1

[27] People v. Garcia, Supreme Court, Appellate Division, First Department, New York, March 28, 2006

დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის მდგომარეობაზე, კულტურაზე და ტრადიციებზე.

3. „ცხოველთა კეთილდღეობის“ ცნება

3.1. განსხვავება ცხოველთა უფლებებსა და კეთილდღეობას შორის

ტერმინი "ცხოველთა უფლებები" ხშირ შემთხვევაში გაიგივებულია ტერმინთან "ცხოველთა კეთილდღეობა", მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დიდი განსხვავებაა. შესაბამისად, სანამ უშუალოდ კეთილდღების ცნების განმარტებაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია, პირველ რიგში, მოხდეს მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა.

"ცხოველთა კეთილდღეობის" ცნება უფრო ადრე გამოჩნდა, ვიდრე ტერმინი "ცხოველთა უფლებები''. ფაქტობრივად, ეს უკანასკნელი, 1700 წლამდე არ გამოიყენებოდა და მხოლოდ მას შემდეგ დამკვიდრდა.[28]

ცხოველთა კეთილდღეობაში მოიაზრება მათი დაცვა ტანჯვის და ზიანის მიყენებისაგან. ამ შემთხევაში, ადამიანებს შეუძლიათ გამოიყენონ ცხოველები საკუთარი ინტერესებისთვის, თუ მათთან მიმართებაში მოპყრობა „ჰუმანური” იქნება. ასევე მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს ყველა ის აუცილებელია პირობა, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტებით. ხოლო, რაც შეეხება ცხოველთა უფლებებს, ის გულისხმობს რწმენას, რომ მათ აქვთ უფლება იცხოვრონ თავისუფლად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე.[29] აღნიშნული პრინციპის მიხედვით, ადამიანების მიერ ცხოველების გამოყენება ლაბორატორიაში, ფერმაში თუ სხვაგვარად არასწორია თავისი შინაარსით და პრაქტიკაში უნდა შეწყდეს.[30]

---

[28]იხ. D. Sztybel, Distinguishing Animal Rights from Animal Welfare; Encyclopedia of animal rights and animal welfare / edited by M. Bekoff with C. A. Meaney, , United States of America, 1998, გვ. 43.

[29] იხ. B. Bousfield/R. Brown, Animal Welfare, Veterinary Bulletin - Agriculture, Fisheries and Conservation Department Newsletter, Volume No. 1 Issue No. 4, 1, Hong Kong, 2010, გვ. 6. ხელმისაწვდომია: https://www.afcd.gov.hk/english/quarantine/qua_vb/files/AW8.pdf.

[30]იხ. T. Regan, Animal rights; Encyclopedia of animal rights and animal welfare/edited by M. Bekoff with C.A. Meaney, United States of America, 1998, გვ. 42.

3.2 "ცხოველთა კეთილდღეობის" ცნების განმარტება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით

ცხოველთა კეთილდღეობის საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს, რამდენადაც იგი, ყოველი ადამიანის მიერ, შესაძლებელია ემოციურად სხვადასხვაგვარად იყოს აღქმული.

საერთაშორისო დონეზე „ცხოველთა კეთილდღეობის“ უამრავი განმარტება არსებობს, თუმცა აქედან სამი მათგანი ყველაზე ხშირად გამოიყენება, რომლებიც სრულად განსაზღვრავენ მის არსს. ესენია:

1) ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტება - კეთილდღეობა გულისხმობს, თუ რამდენად ერგება ცხოველი იმ გარემო პირობებს, რომელშიც ის ცხოვრობს. ცხოველი კარგ მდგომარეობაში იმყოფება, თუ (როგორც მითითებულია სამეცნიერო მტკიცებულებებშიც) ის არის ჯანმრთელი, თავს გრძნობს კომფორტულად, უსაფრთხოდ, კარგად მოვლილია, აქვს ინსტიქტური მოქცევის საშუალება და ის არ იტანჯება ისეთი უსიამოვნო შეგრძნებებით, როგორებიცაა ტკივილი, შიში და მძიმე პირობები. ცხოველთა კეთილდღეობის მნიშვნელოვანი მოთხოვნაა დაავადებათა პრევენცია და კარგი ვეტერინარული მომსახურება, შესაბამისი თავშესაფრის მოწყობა, მოვლა, გამოკვება, ჰუმანური დამოკიდებულება და დაკვლის / მოკვლის ჰუმანური მეთოდების არსებობა. ცხოველთა კეთილდღეობა პირდაპირკავშირია მათ მდგომარეობას. მზრუნველობას, რომელსაც ისინი იღებენ, განპირობებული უნდა იყოს ისეთი ფორმებით, როგორებიცაა ცხოველის მოვლა, მოშენება და მათდამი ჰუმანური მოპყრობა .[31]

2) განმარტება საუნდერსის სრული ვეტერინერული ლექსიკონის მიხედვით - ცხოველთა კეთილდღეობა გულისხმობს ადამიანთა მიერ მათ მიმართ ჩადენილი სისასტიკისა და მათი ექსპლუატაციის აღკვეთას. მათთვის ცხოვრების, კვებისა და ზოგადად, მოვლის სტანდარტების, დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის, ასევე, მათი ძალადობისგან, ზედმეტი დისკომფორტისა და ტკივილისგან გათავისუფლების უზრუნველყოფის გზით.[32]

3) ხუთი თავისუფლება - 1965 წელს დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულმა სამეფომ დააფინანსა კვლევა ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ პროფესორ როჯერ ბრამბელის ხელმძღვანელობით. მისი ანგარიშის საფუძველზე, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ დააარსა ცხოველთა კეთილდღეობის

[31] OIE-Terrestrial Animal Health Code, Section 7, Article 7.1.1.

[32] B. Bousfield/R. Brown, Animal Welfare, Veterinary Bulletin - Agriculture, Fisheries and Conservation Department Newsletter, Volume No. 1 Issue No. 4, Hong Kong, 2010, გვ. 2. ხელმისაწვდომია: https://www.afcd.gov.hk/english/quarantine/qua_vb/files/AW8.pdf

ზედამხედველობის კომიტეტი 1967 წელს, რომელიც 1979 წელს გარდაიქმნა ფერმერულ ცხოველთა კეთილდღეობის საბჭოდ. კომიტეტმა შეიმუშავა სახელმძღვანელო პრინციპები ცხოველთა უფლებებთან მიმართებით, რომელიც შემდეგ გადამუშავდა და საქვეყნოდ ცნობილი გახდა ხუთი „თავისუფლების“ სახელით. ესენია:

1. „თავისუფლება“ წყურვილისა და შიმშილისგან - თავისუფალი წვდომა სუფთა წყალსა და ჯანსაღ საკვებთან სრულფასოვანი ჯანმრთელობისა და მხნეობის შესანარჩუნებლად;

2. „თავისუფლება“ დისკომფორტისგან - შესაფერისი გარემო-პირობების უზრუნველყოფა თავშესაფრისა და კომფორტული დასვენების სივრცის ჩათვლით;

3. „თავისუფლება“ ტკივილის, დაზიანებებისა (ტრავმების) და დაავადებებისგან - დაავადების პრევენციის ან დროული დიაგნოსტიკისა და მოვლა-პატრონობის გზით;

4. მისი სახეობისთვის დამახასიათებელი ჩვეული ქცევის „თავისუფლება“ - შესაბამისი სივრცის, მოწყობილობებისა და მისივე სახეობის ცხოველების კომპანიონობის უზრუნველყოფის გზით;

5. „თავისუფლება“ შიშისა და ტანჯვისაგან - ისეთი პირობების შექმნა და მზრუნველობა, რაც აარიდებს მათ ფსიქიკურ ტანჯვას. გარდა ამისა, კომპანიონი ცხოველები საჭიროებენ შესაბამის კვებას, სასმელი წყლით უზრუნველყოფას, დასაძინებელი ადგილის გამოყოფას (მოწყობა, დათბუნება, განათება), გასეირნებასა და შესაბამის აქტივობას. ასევე, დროულ და სათანადო სამედიცინო დახმარების გაწევას. [33]

ცხოველების კეთილდღეობის შეფასების ეს სისტემა არაერთი ქვეყნის საკანონმდებლო აქტებშია განმტკიცებული. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს და უზრუნველყოს კომპანიონი ცხოველების სრულფასოვანი ცხოვრება, რათა მათი ხუთი თავისუფლება დაცული იყოს. ამის მისაღწევად, კი აუცილებელია საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების ნაციონალურ კანონმდებლობაში გატარება.

[33] იქვე, გვ. 2.

3.3 "ცხოველთა კეთილდღეობის" ცნების საკანონმდებლო განმარტება ლიტვაში, ლატვიასა და საბერძნეთში

საინტერესოა, ასევე, მოკლედ მიმოვიხილოთ კონკრეტული ქვეყნების მაგალითები, თუ როგორ განმარტავს თითოეული მათგანი კეთილდღეობის ცნებას. ლიტვის "ცხოველთა კეთილდღეობისა და დაცვის შესახებ" კანონის, მიხედვით ის მოიაზრებს ცხოველთა ფსიოქოლოგიური და ეთოლოგიური საჭიროებების გათვალისწინებას ოპტიმალური გზით. [34] ხოლო ლატვიაში კეთილდღეობა განმარტებულია, როგორც ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველთა ფსიქოლოგიურ და ეთოლოგიურ საჭიროებებს. [35] მნიშვნელოვანია ასევე, საბერძნეთის მაგალითიც, რომლის კანონმდებლობაც მოიცავს წესების ჩამონათვალს, რომელიც ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს ცოცხალ არსებებთან ურთიერთობაში:

- დაიცვან და კარგად მოუარონ ცხოველებს, ისე, რომ ისინი არ განიცდიდნენ ფიზიკურ ტანჯვასა და ტკივილს;
- უზრუნველყონ ცხოველების განთავსება მშრალ და სუფთა, ამინდის პირობებისგან დაცულ ადგილას, სადაც არ იქნებიან დაბმულნი ერთ ადგილას და არ იცხოვრებენ მათთვის შეუსაბამო ფართსა ან/და ნაგებობებში (მაგ., ისეთი მასალისგან დამზადებულში, როგორიცაა ლითონი);
- საჭიროებისამებრ უზრენველყონ სამედიცინო მომსახურებით, ისევე როგორც საკვებითა და წყლით;
- ყოველდღიურად ავარჯიშონ ან ასეირნონ და, ზოგადად, გამოხატონ მზრუნველობა და პატივისცემა ცხოველების მიმართ.[36]

3.4 ცხოველთა კეთილდღეობის" ცნების საკანონმდებლო განმარტება საქართველოში

საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინს "ცხოველის კეთილდღეობა" ვხვდებით თვითმმართველი ერთეულების მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებში, რომლებიც ეხება ძაღლისა და კატის მოვლა - პატრონობის წესებს. მაგალითად, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული დადგენილების მიხედვით "ცხოველთა კეთილდღეობა მოიცავს მათთვის ფიზიოლოგიური და ეთოლოგიური საჭიროებების დაკმაყოფილებას, ორგანიზმის მოთხოვნათა

[34] Republic of Lithuania, Law on Welfare and Protection of animals, 1997 No VIII-500, Section I Article 2.

[35] Republic of Latvia, Animal Protection Law,2000, Chapter I, Section 1.

[36] Greece Animal Welfare Law (4039-12) & Amendments (4235-14), Article 1.

გათვალისწინებით ვეტერინარული სტანდარტების შესაბამისად". იქვე ჩამოთვილია ცხოველთა მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი საჭიროებები, რომლის მიხედვითაც აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს:

ა) სათანადო კვება და დაწყურვება;

ბ) ცხოველისათვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნა საძილე ადგილის გამოყოფა - მოწყობას, დათბუნებასა და განათებას საჭიროების შემთხვევაში;

გ) კომპანიონი ცხოველის გასეირნებასა და სათანადო ფიზიკური აქტივობით დატვირთვა;

დ) დროულ და სათანადო სამედიცინო-ვეტერინარულ მომსახურება;

ე) ცხოველისთვის სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შექმნა;

ვ) ცხოველისათვის აუცილებელი შესაბამისი საწვრთნელი საშუალებების ხელმისაწვდომობა და მათ სოციალიზაცია.[37]

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ჩანაწერი ეფუძნება ზემოთ განხილულ ე.წ. "ხუთი თავისუფლების" პრინციპს. შესაბამისად, ფოთისა და სხვა მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დადგენილებებში გაწერილი ცხოველთა კეთილდღეობის ცნების განმარტებისას სრულიად გათვალისწინებულია ყველა ის კრიტერიუმი და პირობა, რომლიც დადგენილია საერთაშორისო სტანდარტებით.

4. ცხოველთა დაცვის საერთაშორისო და საზღვარგარეთის ქვეყნების საკანონმდებლო ბაზა

მანამ სანამ, უშუალოდ კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის მარეგულირებელ კანონმდებლობას განვიხილავდეთ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია მოკლედ შევეხოთ, ზოგადად, ცხოველთა დაცვისა და მათზე მზრუნველობის უზრუნველყოფის ღონისძიებების საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზას.

ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს ვნახავთ, რომ ცხოველთა დაცვის შესახებ კანონები ორი საუკუნის წინ არც კი არსებობდა.[38] აღნიშნული სფერო, შეიძლება ითქვას, რომ სულ ახალია და ჯერ კიდევ განვითარებას და დახვეწას საჭიროებს.

თანამედროვე ცივილიზებული სამყარო სხვადასხვა საშუალებით ცდილობს დაიცვას ცხოველების უფლებები. ეს გამოიხატება ადამიანის მიერ ცხოველურ

---

[37] იხ. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მაისის დადგენილება №13/22 "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები, კატები და სხვა კომპანიონი ცხოველები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ", მე-4 მუხლი.

[38] J. Curnutt, Animals and the Law: A Sourcebook, United States of America, 2001, გვ. 4.

სამყაროზე მიმთვისებლური, გამანადგურებელი, ბრაკონიერული, წამების და სხვ. გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლით. დიდი ხანია, რაც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში დაიწყო საკანონმდებლო საქმიანობა აღნიშნული პრობლემების პრევენციისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქმიანობა კორელაციაშია თვით ქვეყნების განვითარების დონესთან. ამ მხრივ პრიორიტეტები დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე მოდის. [39] მაგლითად შეგვიძლია მოვიყვანოთ გაერთიანებული სამეფო, რომელიც ავსტრიასა და შვეიცარიასთან ერთად, მოწინავე ადგილზეა ცხოველთა დაცვის მსოფლიო რეიტინგში.[40]

უკვე რამოდენიმე ათწლეულია, რაც ცხოველთა დაცვის სფეროში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიღებულია მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, [41] დეკლარაციები, [42] ევროპის კონვენციები, [43] რომლებიც ადგენენ მზრუნველობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის აუცილებელ სტანდარტებს. პირველი კანონი, მათი სასტიკად მოპყრობისგან დაცვის მიზნით, მიღებული იქნა დიდ ბრიტანეთის პარლამეტის მიერ 1822 წელს. [44] მალე, მსგავსი რეგულაციები შემოღებულ იქნა ევროპის უმრავლეს ქვეყანაში. ცხოველთა დაცვის კანონმდებლობა მუდმივად უმჯობესდება სახელმწიფოების მიერ, ამით ისინი დიდ პროგრესს აღწევენ ადამიანისა და ცხოველის ურთიერთდამოკიდებულებების სრულყოფის საქმეში. მაგალითად, ავსტრიის პარლამენტმა 2004 წელს მიიღო ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული სამართლებრივი აქტი. ამ კანონის თანახმად, დანაშაულად ჩაითვლება ისეთი ქმედებებიც კი, როგორიცაა, მაგალითად, წიწილების შენახვა გალიებში მომეტებული სიმჭიდროვის პირობებში, ძაღლებისათვის კუდისა და ყურების მოჭრა, საცირკო წარმოდგენებში ლომებისა და სხვა გარეული ცხოველების

---

[39] კ. მიქაძე, შინაურ ცხოველთა ქცევა,თბილისი, 2014, გვ. 28.

[40] Animal Protection Index, World Animal Protection,2019 ხელმისაწვდომია: https://api.worldanimalprotection.org/compare (ნანახია 14.06.2019)

[41] იხ. International and Foreign Animal Law Research Guide, Georgetown University Law Library,2018. ხელმისაწვდომია: http://guides.ll.georgetown.edu/c.php?g=363480&p=2455777 (ნანახია 14.06.2019)

[42] მაგალითად, ცხოველების უფლებათა მსოფლიო დეკლარაცია იხ. Universal Declaration of Animal Rights. ხელმისაწვდომია: http://declarationofar.org/textSign.php

[43] მაგ., ცხოველთა დაცვის ევროპის კონვენცია საერთაშორისო ტრანსპორტირებისას. იხ. European Convention for the Protection of Animals During International Transport (ხელმისაწვდომია: http://gspsa.org.ge/wp-content/uploads/2016/01/European-Convention-for-the-Protection-of-Animals-During-International-Transport.pdf), კონვენცია ველური ფაუნისა და ფლორის (მცენარეთა სამყარო) სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ და სხვა.

[44] L. Yount, Animal Rights, Revised Edition, United States of America, 2008, გვ. 120.

მონაწილეობა, ძაღლების ჯაჭვით დაბმა, ლეკვებისა და კნუტების მაღაზიების ვიტრინებში ყოლა.[45]

საინტერესოა, ასევე ის ფაქტი, რომ გარკვეულ სახელმწიფოებში ცხოველთა უფლებები კონსტიტუციით არის დაცული. ასეთი ქვეყნებია - შვეიცარია (1973), ინდოეთი (1976), ბრაზილია (1988), სლოვაკეთი (1991), გერმანია (2002), ლუქსემბურგი (2007). [46] გარდა ამისა, არსებობს რეგულაციები, რომლებიც კრძალავენ (გარკვეულ შემთხვევაში ზღუდავენ) ცხოველების გამოყენებას კოსმეტიკურ, საყოფაცხოვრებო, ფარმაცევტულ კვლევებში. თუმცა, სამწუხაროდ, ყველგან როდი იგრძნობა ასეთი ტენდენციები, მაგალითად, რუსეთში ამგვარი კანონის მიღების მცდელობა კრახით დასრულდა. პრეზიდენტმა პუტინმა 2000 წელს მასზე ვეტო გამოიყენა.[47]

რაც შეეხება საქართველოს, ის სხვა ქვეყნებთან ერთად, თავისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების დონისა და მდგომარეობის კვალობაზე, თანამონაწილეა აღნიშნული პრობლემების გათვიცნობიერებისა და პრევენციის საკითხებში. ერთ-ერთ მთავარ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს "საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ" (1997 წ. 1 აგვისტო). მასში მოყვანილია დებულებები და მდგრადი განვითარების პრინციპები, რომლებიც ინტეგრირებულია გაეროს 1992 წელს მიღებული "გარემოსა და განვითარების რიოს დეკლარაციასთან", "21-ე საუკუნის გლობალური მდგრადი განვითარების პროგრამის – დღისწესრიგ 21"- თან და სხვა დოკუმენტებთან. [48] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს კანონი ეხება მხოლოდ გარეულ ცხოველებს.

5. კომპანიონი ცხოველების კეთილდღეობის უზრუნველყოფის საკანონმდებლო რეგულირება

განსახილველი თემის არსის სრულად გასაგებად და შესასწავლად მნიშვნელოვანია საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო რეგულირებასთან ერთად, განხილულ იქნეს ისეთი განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა, როგორიცაა ინგლისი, აშშ, ავსტრალია.

---

[45] კ. მიქაძე, შინაურ ცხოველთა ქცევა,თბილისი, 2014, გვ. 28.

[46] J. Eisen, Animals in the Constitutional State, International Journal of Constitutional Law, Volume 15, Issue 4, 2017, გვ. 911.

[47] კ. მიქაძე, შინაურ ცხოველთა ქცევა, თბილისი, 2014, გვ. 29.

[48] იქვე, გვ.33

5.1 საქართველო

საქართველოში საკანონმდებლო დონეზე უცხოა ტერმინი „ცხოველთა უფლებები“. სამწუხაროდ, ჩვენთან ეს უფლებები არ არის მოხსენიებული იურიდიულ დოკუმენტებში. დღესდღეობით, ქვეყანაში, არ არსებობს კანონი, რომელიც დაარეგულირებს კომპანიონი ცხოველის მეპატრონის უფლება-მოვალეობებს და დაიცავს, როგორც ცხოველის, ასევე მეპატრონისა და საზოგადოების ინტერესებს და უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო თანაარსებობას. ამასთანავე, საქართველო არ არის მიერთებული ცხოველთა უფლებების უზრუნველმყოფ ისეთ მნიშვნელოვან კონვენციებს, როგორიცაა ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია (Universal Declaration of Animal Rights), ევროპის საბჭოს კომპანიონი ცხოველების დაცვის კონვენცია (European Convention for the Protection of Pet Animals), ასევე, არ არის აღიარებული ცხოველთა კეთილღეობის აქტი, რომელსაც გაერთიანებული ევროპის პრაქტიკული პოლიტიკა ემყარება. ქართული სახელმწიფოს მიერ განცხადებული ევროინტეგრაციის კურსი მოითხოვს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროპულ პრინციპებთან, და საერთაშორისოდ აღიარებულ მეთოდოლოგიებთან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონვენციები არ არის სამართლებრივად სავალდებულო ინტრუმენტები, მათი გამოყენება შესაძლებელია ეროვნული კანონმდებლობის განვითარება/ადაპტაციისათვის.

ჩვენს ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არეგულირებს ცხოველთა სამყაროს, ასევე ბიომრავალფეროვნების დაცვასა და მონიტორინგს, დაფუძნებულია საქართველოს კანონზე “ცხოველთა სამყაროს შესახებ". თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სამართლებრივი აქტი მხოლოდ გარეული ცხოველების დაცვას ითვალისწინებს.[49] შესაბამისად, ამ სფეროდან სრულიად ამოვარდნილია და კანონის მიღმა დარჩა კომპანიონი ცხოველები.

საქართველო იზიარებს, მსოფლიოში დამკვიდრებულ პრაქტიკას, რაც გულისხმობს კომპანიონ ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების მუნიციპალურ დონეზე დარეგულირებას. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, "შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა", მოქცეულია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებაში. [50] შესაბამისად, ყველა თვითმმართველ ერთეულს შეუძლია, ინდივიდუალურად, საკუთარი

[49] საქართველოს კანონი "ცხოველთა სამყაროს შესახებ" ცხოველთა სამყაროს განმარტავს როგორც, ყველა სახის გარეული ცხოველების ერთობლიობას, იხ. საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ, მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი.

[50] იხ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის "რ" ქვეპუნქტი.

გადაწყვეტილებითა და დაგენილებით განსაზღვროს, როგორ იმოქმედოს კომპანიონ ცხოველთა დაცვისა და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფის სფეროში.

დღეის მდგომარეობით, მთელი საქართველოს მასშტაბით 14 მუნიციპალიტეტს აქვს მიღებული დადგენილება, მათ ტერიტორიაზე კომპანიონი ცხოველების ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციის მართვის პირობების შესახებ.[51] აღნიშნული საკანონმდებლო აქტები, პრინციპების დონეზე ერთმანეთის მსგავსად აწესრიგებს კეთილდღეობის უზრუნველყოფის საკითხებს. თუმცა, ასევე, ვხვდებით გარკვეული განსხვავებებს გამოყენებულ ტერმინოლოგიას, ცნებების განმარტებასა და მიდგომებს შორის.

კომპანიონ ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობა იმდენად ახალია, რომ 2014 წლამდე საქარველოს საკანონმდებლო მასალებში ფაქტობრივად ვერ შევხვდებოდით ვერანაირ რეგულაციებს ჩვენს გარშემო მობინადრე ცოცხალი არსებების კეთილდღეობის სფეროში. პირველი დადგენილება, კომპანიონ ცხოველებთან დაკავშრებით, მიიღო თვითმმართველი ქალაქის, ბათუმის, საკრებულომ 2014 წლის 28 თებერვალს. [52] შემდეგ წლებში, პერიოდულად ხდებოდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მიერ კომპანიონ ცხოველთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის წესების დადგენა. ბოლო დადგენილება, 2019 წლის 30 იანვარს, მიღებულ იქნა საჩხერის საკრებულოს მიერ. [53] რეგულაციების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის ყველაზე სუსტია იმ მუნიციპალიტეტების სამართლებრივი აქტები, რომლებმაც პირველებმა მიიღეს ისინი და მას შემდეგ არ განუახლებიათ.მაგალითად, შეიძლება განვიხილოთ ამბროლაურის საკრებულოს მიერ 2014 წელს მიღებული დადგენილება [54] , რომელშიც ძალიან მშრალად არის გადმოცემული და ნაკლებად არის ყურადღება გამახვილებული კომპანიონ ცხოველთა ბუნებრივ უფლებებსა და მათი დაცვის

[51] ეს მუნიციპალიტეტებია - საჩხერე, ახალქალაქი, ვანი, ხაშური, ფოთი, ოზურგეთი, ჩხოროწყუ, ჩოხატარი, ბორჯომი, თბილისი, ლანჩხუთი, ამბროლაური,ბათუმი, გორი.

[52] იხ. თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვალის დადგენილება №8 "თვითმმართველი ქალაქის - ბათუმში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ".

[53] იხ. საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვარის დადგენილება №5 "საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველ(ებ)ის (ძაღლი , კატა და სხვა კომპანიონი ცხოველ(ებ)ის) მოვლა-პატრონობისა და მათი ყოლის წესის დამტკიცების შესახებ".

[54] იხ. ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის დადგენილება №30 "ქალაქ ამბროლაურში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ".

საერთაშორიოდ აღიარებულ მექანიზმებზე. ამასთანავე, არ არის მიმართული ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო და მეგობრული გარემოს შექმნისაკენ. აღნიშნულისაგან განსხვავებული მდგომარეობაა, მაგ. თბილისისა [55] და ახალქალაქის საკრებულოების მიერ მიღებულ რეგულაციებში, [56] რომლებიც ერთ-ერთ ყველაზე გამართულ დადგენილებებად შეგვიძლია განვიხილოთ. თუმცა, ერთია სრულყოფილი და დეტალურად გაწერილი საკანონმდებლო აქტების არსებობა და მეორეა მათი აღსრულება და კონტროლის განხორციელება. ამ მხრივ, არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა საქართველოში.

5.2 საერთაშორისო პრაქტიკა

5.2.1 ინგლისი

ინგლისი შედის მსოფლიოს მასშატაბით იმ მცირე სახელმწიფოების ჩამონათალში, რომელთაც ცხოველების დაცვის კუთხით საუკეთესო კანონმდებლობა გააჩნიათ. 2018 წლის მონაცემებით, დიდი ბრიტანეტში 11.1 მილიონი კატა, 8.9 მილიონი ძაღლი და 1 მილიონი კურდღელია.[57] ეს არის ქვეყანა, რომელიც გამოირჩევა ცხოველებისადმი განსაკუთრებული ზრუნვით და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფით.

საქართველოსაგან განსხვავებით, ინგლისში მიღებულია კომპანიონ ცხოველთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ერთიანი კანონები, რომლებიც მოქმედებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. მათი აღსრულება კი ადგილობრივ ხელისუფლებას ევალება. ძირითადად, ეს გულისხმობს, სავალდებულო წესით ცხოველებთან დაკავშირებით ლიცენზიების გაცემასა და უსახლკარო ძაღლების კონტროლის განხორციელებას. ამასთანავე, ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია განახორციელოს ისეთი არასავალდებულო ქმედებები, როგორიცაა მიკროჩიპირება, მოვლა-პატრონოის წესების დადგენა, კეთილდღეობის უზრუნველყოფის საკითხების განსაზღვრა და სხვა. თუმცა,

---

[55] იხ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №7-28 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ.

[56] იხ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 ივნისის დადგენილება №41 "ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადრი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ".

[57] The People's Dispensary for Sick Animals(PDSA), Paw Report 2018: The essential insight into the wellbeing of UK pets,2018. გვ. 8. ხელმისაწვდომია: http://www.dogbreedingreformgroup.uk/uploads/5/5/5/6/55561953/pdsa_paw_report_2019.pdf.

რამდენადაც, აღნიშნული ხორციელდება დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, თითეული მუნიციპალიტეტის შეხედულებისამებრ, ამან შესაძლებელია შეუსაბამობა გამოიწვიოს მთელი ქვეყნის მასშტაბით. [58]

ინგლისის შემთხვევაში, საკანონმდებლო ხარვეზად შეიძლება მივიჩნიოთ, ის ფაქტი, რომ ცხოველების დაცვის შესახებ არსებული კანონების მხოლოდ მცირე ნაწილი ითვალისწინებს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რეგულაციების სავალდებულო აღსრულებას. მათი უმრავლესობა კი ამისათვის არ მოითხოვს რომელიმე სპეციალური სააგენტოს არსებობას. ასეთ დროს კანონის აღსრულება შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივი ხელისუფლების, პოლიციის ან შესაბამისი ორგანიზაციების საშუალებთ. [59]

დღეის მდგომარეობით, ინგლისში მოქმედებს კომპანიონ ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი შემდეგი კანონები:

- კანონი კომპანიონ ცხოველთა შესახებ (The Pet Animals Act 1951) - კანონის მიხედვით, ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს ზოომაღაზია, აუცილებლად უნდა იყოს ლიცენზირებული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. ლიცენზიის მინიჭებამდე უფლებამოსილი ორგანო უნდა დარწმუნდეს, რომ გარემო, სადაც მოთავსებული იქნებიან ცხოველები არის სტანდარტების შესაბამისი და სუფთა. მათ მიეწოდებათ საკვები, სასმელი და დაცული იქნებიან დაავადებისა და ცეცხლისგან. ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს უფლებამოსილება კონტროლი გაუწიოს ყველა ამ პირობის შესრულებას და შეუძლია გააუქმოს გაცემული ლიცენზია, თუ შენობაში არსებული პირობები არადამაკმაყოფილებელია ან ნებართაში მითითებულ სტანდარტებს არ შეესაბამება;
- ანონი ცხოველთა პანსიონატების შესახებ (Animal Boarding Establishments Act 1963) - რომლის მიხედვითაც, ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ ლიცენზირებას ექვემდებარება, ასევე ისეთი დაწესებულებები, რომლებიც გარკვეული დროით ახორციელებენ პატრონიანი ცხოველების მოვლა-პატრონობას, ანაზღაურების სანაცვლოდ;

---

[58] Blue Cross, Unpicking the Knots: the case for a more cohesive approach to pet welfare legislation,2016, გვ.14. ხელმისაწვდომიაhttp://www.dogbreedingreformgroup.uk/uploads/5/5/5/6/55561953/unpicking_the_knots_report.pdf

[59]The Royal Society for the Prevention of Cruelty to Animals, Improving the Welfare and Protection of animals, Ten issues for action by the next UK Government, a guide for political party manifestos,2014, გვ. 8. ხელმისაწვდომია http://politicalanimal.org.uk/wp-content/uploads/2014/09/GE-manifesto-final-print-version.pdf.

- კანონი საჯინიბოების შესახებ (Riding Establishments Act 1964 and 1970) - რომელიც ეხება ასეთი დაწესებულებებისთვის ლიცენზიის გაცემის საკითხებს და ცხენების კეთილდღეობის უზრუნველყოფის ღონისძიებებს;
- კანონის გარემოს დაცვის შესახებ (Environmental Protection Act 1990) - აღნიშნული რეგულაცია ადგილობრივ ხელისუფლებას უდგენს შესასრულებლად სავალდებულო წესებს უსახლკარო ძაღლებთან მიმართებით; [60]
- კანონები ძაღლის გამრავლება-გაყიდვასთან დაკავშირებით (Breeding and Sale of Dogs (Welfare) Act 1999, Breeding of Dogs Act 1991 and Breeding of Dogs Act 1973) - აღნიშნული რეგულაციებით, ნებისმიერი პირი, რომელიც ახლორციელებს ძაღლების მოშენებას, როგორც ბიზნესის მიზნებისთვის ასევე ჰობისთვის, ვალდებულია ფლობდეს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემულ ლიცენზიას;[61]
- კანონები სახიფათო ძაღლების შესახებ (Dangerous Dogs Act 1991, The Dangerous Dogs (Amendment) Act 1997) - რომლებიც, არეგულირებენ საფრთხის შემცველ ძაღლებთან დაკავშრებულ საკითხებს;
- კანონი ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ (Animal Welfare Act 2006) - ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც ფართოდ აწესრიგებს კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის საკითხებს. მან ჩაანაცვლა 1911 წლის აქტი "ცხოველთა დაცვის შესახებ". შეიძლება ითქვას, რომ კანონში აქცენტი გაკეთებულია ცხოველების დაცვაზე და ადამიანის პასუხისმგებლობაზე, უზრუნველყოს ის ძირითადი ხუთი თავისუფლება, რომელიც წარმოადგენს კეთილდღეობის გარანტიას. იმ შემთხვევაში თუ მეპატრონე თავს ვერ გაართმევს ამ ვალდებულებებს, რეგულაციის მიხედვით, ეს უკვე დანაშაულია. კანონში გამკაცრებულია ჯარიმები და დამატებულია აღსრულების ღონისძიებები უყურადღებობისა და სისასტიკისათვის. ასევე, გაიზარდა კომპანიონი ცხოველის ასაყვანად საჭირო მინიმალური ასაკის ზღვარი თორმეტიდან თექვსმეტ წლამდე. აიკრძალა ძაღლისათვსი კუდის მოჭრა და მისი სხვა ფორმით დასახიჩრება. გარდა ამისა, აქტი ითვალისწინებს მნიშვნელოვან რეგულაციებს ცხეველების ჩხუბთან დაკავშირებით. კანონით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირების,

[60] იხ. All-Party Parliamentary Group for Animal Welfare, Current Legislation, 2017. ხელმისაწვდომია: https://apgaw.org/current-legislation/.(ნანახია 17.06.2019).
[61] იხ. GOV.UK, Animal welfare legislation: protecting pets,2013. ხელმისაწვდომია: https://www.gov.uk/guidance/animal-welfare-legislation-protecting-pets. (ნანახია 17.06.2019)

ინსპექტორების, მიერ შეძალებელია მოხდეს დამნაშავის დაპატიმრება, დაჯარიმება, კომპანიონი ცხოველის ჩამორთმევისა და დისკვალიფიკაციის ბრძანების გაცემა.[62]

ბოლოს განხილული, ინგლისის 2006 წლის კანონისთვის, დამახასიათებელია ის, რომ იგი პირდაპირ მიმართულია ცხოველთა კეთილდღეობისკენ და ამასთანავე, იმ პირების მიმართ, ვისაც კანონით ეკისრება კონპანიონ ცხოველებზე ზრუნვა. [63] მიუხედავად დადებითი შეფასებებისა და ბევრი წინგადაგმული ნაბიჯისა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონი არ ითვალისიწინებს სპეციალური აღმასრულებელი ორგანოს არსებობას ცენტრალურ დონეზე, რომელსაც უშუალოდ დაეკისრებოდა კანონის აღსრულების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა. ამის გარდა, არის გარკვეული საკითხები, რომლებიც, ასევე, დახვეწას და განვითარებას საჭიროებს.

5.2.2 ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკელაში, უფრო და უფრო იზრდება ემოციური კავშირი, ადამიანებსა და კომპანიონ ცხოველებს შორის, ისინი ოჯახის წევრებად განიხილებიან. ჰარისის 2015 წლის გამოკითხვის მიხედვით, ხუთი ამერიკელიდან სამს (62%) მაინც ყავს მინიმუმ ერთი კომპანიონი ცხოველი.[64] 2017 წლის მონაცემებით, აშშ-ს მთელ ტერიტორიაზე 86 მილიონი კატა და 76 მილიონი ძაღლია.[65]

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ცხოველთა დაცვის შესახებ კანონები შეიძლება მიღებულ იქნას და განხორციელდეს მმართველობის ნებისმიერ დონეზე. ძირითადად, ასეთი რეგულაციები მიღებულია შტატების მიერ. [66] თუმცა, ამის გარდა არსებობს არაერთი, მნიშვნელოვანი ფედერალური აქტიც. ესენია, ცხოველთა კეთლდღეობის აქტი (The Animal Welfare Act), 28 საათიანი

---

[62] იხ. A. Collinson, Legal Protection of Animals in the UK,2018. ხელმისაწვდომია:https://www.animallaw.info/article/legal-protection-animals-uk.

[63] D. Cao/S. White, Animal Law and Welfare - International Perspectives, Ius Gentium: Comparative Perspectives on Law and Justice (Book 53), 1st edition, Switzerland, 2016. გვ. 50.

[64] N. R. Pallotta, Chattel or Child: The Liminal Status of Companion Animals in Society and Law, Animal Legal Defense Fund, USA, 2019. გვ. 1.

[65] A. N. Rowan, Companion Animal Statistics in the USA, The Humane Society Institute for Science and Policy Animal Studies Repository, 2019, გვ.4 ხელმისაწვდომია: https://animalstudiesrepository.org/cgi/viewcontent.cgi?article=1002&context=demscapop.

[66] იხ. State Laws and Statutes Covering Animals, The Animals and Society Institute, 2019. ხელმისაწვდომია:https://www.animalsandsociety.org/resources/federal-us-laws-regarding-animals/state-laws-and-statutes-covering-animals/. (ნანახია 16.06.2019).

კანონი (The “28 Hour Law“).[67] ასევე, აღნიშვნის ღირსია სპეციალური კანონი, რომელიც კრძალავს ცხოველთა მიმართ უხეში მოპყრობისა და წამების შემცველი ვიდეოის შექმნასა და გავრცელებას (the Animal Crush Video Prohibition Act) [68] და სხვა. რამდენადაც, ამერიკაში არსებობს კომპანიონ ცხოველებთან დაკავშრებული, შტატების მიერ თავის კომპეტენციის ფარგლებში მიღებული უამრავი დადგენილება თუ კანონი, ამიტომ, ვერ მოხდება ყოველი მათგანის დეტალური განხილვა. შესაბამისად, შევეხებით, მხოლოდ აშშ-ში დამკვიდრებულ ზოგად პრაქტიკასა და მისთვის დამახასიათებელ ასპექტებს.

კომპანიონ ცხოველებთან დაკავშირებით მიღებული მუნიციპალიტეტების დადგენილებებისა და საკანონმდებლო ინიციატივების უმეტესობა მიმართულია მოქალაქეებისა და ცხოველების დაცვის, ამისათვის, საჭირო ხარჯების შემცირებისა და საზოგადოების ჯანმრთელობა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ. ეს არის ძირითადი ნიშნები რაც მათ ახასიათებთ. თუმცა, ამასთანავე არსებობს უზარმაზარი განსხვავებები იმ სტრატეგიებში, რომლებსაც მუნიციპალიტეტებში იყენებენ.[69]

როგორც უკვე აღვნიშნე, თითოეულ შტატს აქვს კანონები, რომლებიც ეხებიან კომპანიონი ცხოველების მოვლა-პატრონობის და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფის რეგულირების ასპექტებს. მაგალითად, არსებობს დადგენილებები იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს შეიძლება უპატრონო ცხოველის გაჩერება თავშესაფრებში, სანამ მოხდება მათი აყვანა ან ევთანაზია. ასევე, შტატებში არსებობს კანონები, რომლებიც ადგენენ ვაქცინაციისა და კომერციული გამრავლების წესებს. [70]

გარდა აღნიშნულისა, თვითმმართველ ერთეულებში მიღებულია "ცხელი მანქანის კანონები" (“Hot car laws”). ასეთი რეგულაციების მიხედვით, კანონდარღვევად ითვლება ცხოველის ავტომობილში დატოვება უკიდურეს პირობებში. ზოგიერთმა კანონმა ნება დართო პირს, საფრთხეში მყოფი ცოცხალი არსების გადასარჩენად განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება.

---

[67] იხ, Laws that Protect Animals, The Animal Legal Defense Fund,2017. ხელმისაწვდომია:https://aldf.org/article/laws-that-protect-animals/ (ნანახია 16.06.2019).

[68] იხ. Preventing Animal Cruelty and Torture (PACT) Act, Animal Welfare Institute,2018. ხელმისაწვდომია: https://awionline.org/content/preventing-animal-cruelty-and-torture-pact-act (ნანახია 16.06.2019).

[69] იხ. L. A. Fischer/S. Shankle /J.P. Schwieterman/C. L. Bathurst, Companion Animals and Chicago Communities: A Strategic Assessment for the City of Chicago, Chaddick Institute for Metropolitan Development DePaul University Chicago, 2010, გვ. 12.

[70] იხ. Laws that Protect Animals, The Animal Legal Defense Fund,2017. ხელმისაწვდომია: https://aldf.org/article/laws-that-protect-animals/ (ნანახია 16.06.2019).

შესაბამისად, მის მიმართ იმოქმედებს იმუნიტეტი და მოხდება მისი სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება. ასევე, მუნიციპალურ დონეზე, ხშირად შევხდებით რეგულაციებს, რომლებიც ადგენენ დროის ხანგრძლივობას, თუ რა პერიოდში არის ნებადართული კომპანიონი ცხოველის გარეთ დატოვება მიბმულ მდგომარეობაში და როდის გადაიქცევა ეს უკვე კანონდარღვევად.[71]

ამერიკაში, ასევე, ვხვდებით საკითხისადმი ინოვაციურ მიდგომებს და რეგულაციებს. მაგ., კალიფორნია არის პირველი შტატი ამერიკაში, რომელმაც 2019 წელს მიიღო მკაცრი კანონი კომპანიონი ცხოველის გადარჩენისა და აყვანის შესახებ (Pet Rescue and Adoption Act). აღნიშნული რეგულაციის მიხედვით, ზოომაღაზიებს ეკრძალებათ ძაღლების, კატებისა და კურდღლების გაყიდვა თუ ისინი წარმოდგენილი არ არიან ადგილობრივი თავშესაფრიდან ან სპეციალური სააგენტოებიდან.[72]

ამის გარდა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ადგილობრივ დონეზე არსებული ცხოველთა დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველმყოფი კანონმდებლობის ეფექტურად აღსრულების მიზნით, ზოგიერთ შტატში, 2011 წლიდან, დანერგილია ე.წ "კომპანიონ ცხოველთა სასამართლო".[73]

"კომპანიონ ცხოველთა სასამართლო" არის უახლესი ინსტიტუტი, რომლის ჩამოყალიბებაზეც გავლენა იქონია ადამიანისათვის კომპანიონი ცხოველების ღირებულებისა და მნიშვნელობის გაზრდამ. აღნიშნული სასამართლოების საშუალებით ხდება ტერიტორიულ ერთეულებში ცხოველთა დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღსრულება. გადაწყვეტილები შეიძლება შეეხოს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სავალდებულო ვაქცინაცია/რეგისტრაციის განუხორციელებლობა, ძაღლის უპატრონოდ მიტოვება. განხილვის საგანი შეიძლება იყოს, ასევე, ცხოველის ნაკბენისაგან მიყენებული დაზიანებები და სხვა.[74]

---

[71] იქვე.

[72] 2019 Rings in New Laws to Protect Animals, Alley Cat Allies,2018. ხელმისაწვდომია https://www.alleycat.org/2019-rings-in-new-laws-to-protect-animals/ (16.16.2019).

[73] M. Curriden, Going to the Dogs: San Antonio Court Seeks to Enforce Animal Control Laws, ABA JOURNAL, 2012. ხელმისაწვდომია:http://www.abajournal.com/magazine/article/going_to_the_dogs_san_antonio_court_seeks_to_enforce_ animal_control_laws/. (ნანახია 04.07.2019)

[74] S. P. Simmons, What Is the Next Step for Companion Pets in the Legal System? The Answer May Lie with the Historical Development of the Legal Rights for Minors, Texas A&M Law Review, 2016 , გვ. 258. ხელმისაწვდომი https://scholarship.law.tamu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1010&context=lawreview.

შესაბამისად, განხილული ინსტიტუტისთვის დამახასიათებელია სპეციალიზირებული ორგანოების არსებობა, რომლებიც ახორციელებენ უშუალოდ კომპანიონ ცხოველებთან დაკავშირებულ საქმის განხილვას, რაც, თავისთავად, ხელს უწყობს საქმიწარმოების განტვირთვას სასამართლოებში. ამის გარდა, არსებობს არაერთი ფაქტი, რა დროსაც ფიქსირდება, ჩვენ გარშემო მობინადრე ცოცხალი არსებების მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება მოსამართლეების მხრიდან, ზოგიერთ შემთხვევაში კი სასაცილოდაც არ ყოფნით მსგავს თემებზე მსჯელობა. "კომპანიონ ცხოველთა სასამართლო" არის საუკეთესო საშუალება აღნიშნული რისკების თავიდან ასაცილებლად და კომპანიონ ცხოველთა დაცვის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია, რომ საქმისწარმოებისას გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე, რომლიც მეტი თანაგრძნობით უდგება ჩვენ გარშემო მაცხოვრებელ ბინადრებს და მათი კეთილდღეობის საკითხს.[75]

უარყოფითად შეიძლება შეფასდეს ის ფაქტი, რომ სასამრთლოები შეზღუდული არიან მხოლოდ ადგილობრივ დონეზე მოქმედ ცხოველთა მაკონტროლირებელი ნორმების დარღვევის შემთხვევებზე გადაწყვეტილების მიღებით. ინსტიტუტის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, უმჯობესია უფლებამოსილებები გაიზარდოს და სასამართლო განხილვის საგანი გახდეს ცხოველთა სამართლის ყველა ასპექტი.

ცხოველთა სასამართლო ფუნქციონირება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მისი საშვალებით მოხდება პატრონთა პასუხისგებლობის გრძნობის გამძაფრება და ცხოველთა კეითილდღეობის უზრუნველყოფა. ცხოველთა სამართლის ექსპერტები ამბობენ, რომ "კომპანიონ ცხოველთა სასამართლოებს" აქვთ დიდი პოტენციალი, თუ ქალაქის მთავარი მიზანი არ არის მხოლოდ ჯარიმების შემოსავლის გენერირება.

5.2.3 ავსტრალია

ავსტრალიაში, ისევე როგორც ანგლო-ამერიკული სამართალის სხვა ქვეყნებში - ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, გაერთიანებული სამეფოში და ახალ ზელანდიაში, ძალიან გავრცელებულია კომპანიონ ცხოველთა ყოლა და მათი მოვლა-პატრონობა. [76] 2013 წლის მდგომარეობით ქვეყანაში იმაზე

[75] იქვე, გვ.258.

[76] S. White, Companion Animals: Members of the Family or Legally Discarded Objects?, UNSW Law Journal Volume 32(3),2010, გვ. 852 ხელმისაწვდომია: https://www.austlii.edu.au/au/journals/UNSWLJ/2009/42.pdf.

მეტი კომპანიონი დაფიქსირდა ვიდრე მოსახლეობაა. მთლიანობაში მათმა რაოდენობამ 25 მილიონი შეადგინა, საიდანაც 10 მილიონი თევზი, 4 მილიონი ძაღლი და 3 მილიონი კატაა.[77]

ავტრალიის თითქმის მთელს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მმართველობის სამი საფეხური - ფედერალური, შტატების და ადგილობრივი. კონსტიტუციის მიხედვით, ხდება შტატებისთვის უფლებამოსილების გადანაწილება, რაც გულისხმობს, სხვა ყველაფერთან ერთად, ცხოველებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის რეგულირებას. ერთადერთი ფედერალური კანონი, რომლიც ეხება კომპანიონ ცხოველებს, ადგენს მათი იმპორტის წესებს.[78]

შესაბამისად, ავსტრალიის თითოეულ შტატსა და ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნია საკუთარი კანონმდებლობა ცხოველთა კეთილდღეობისა და ცხოველთა მართვისათვის. ძირითადად, მათი სახელწოდებებია შინაურ ცხოველთა შესახებ კანონი (Domestic Animals Act), ძაღლების შესახებ კანონი (The Dog Act), კომპანიონ ცხოევლთა შესახებ კანონი (Companion Animals Act) და სხვა.

ავსტრალიაში ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ კანონები განსხვავებულია თითოეულ შტატში. თუმცა, მათი საშულებით, ძირითადად, ისეთი საკითხების დარეგულირება ხდება, როგორიცაა: კოპმანიონ ცხოველთა რა რაოდენობის ყოლა არის ნებადართული სახლში, რა შემთხვევაშია მათ მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირება აუცილებელი, სად შეიძლება ძაღლის გასეირნება საბელით ან მის გარეშე და სხვა. [79] ზოგიერთ კანონში დადგენილი წესების მიხედვით, აუცილებლია მომშენებელთა დარეგისტრირება. ეს გულისხმობს, ადგილობრივ დონეზე ყველა იმ სტანდარტის დაკმაყოფილბებასა და უზრუნველყოფას, რომელიც აუცილებელია ცხოველთა კეთილდღეობის დასაცავად. თუმცა, შტატების უმრავლესობაში, ჯერ კიდევ არ არის კანონმდებლობით დადგენილი მომშენებლთა რეგისტრაციის სავალდებულო მოთხოვნები.[80]

ბევრი სახელმწიფოს კანონმდებლობაში შეხვდებით ძაღლების სავალდებულო რეგისტრაციის წესს. რაც შეეხება კატებს, ისინი ძირითადად რეგულირების ფარგლებს გარეთ რჩებიან. განსხავევბული მდგომარეობაა ავსტრალიაში. 2008 წელს ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მიიღეს დადგენილება,

---

[77] P. J. Chen, Animal Welfare in Australia: Politics and Policy, გვ.25.

[78] M. Hayward, Companion Animals in Law – Animal Welfare and Animal Management, გვ. 4.

[79] იქვე, გვ. 5.

[80] იხ. RSPCA Australia, Are there laws that require companion animal breeders to meet certain standards of care?,2019. ხელმისწვდომია https://kb.rspca.org.au/knowledge-base/are-there-laws-that-require-companion-animal-breeders-to-meet-certain-standards-of-care/.

რომლის მიხედვითაც, სავალდებულო გახდა ნებისმიერი კატის დარეგისტრირება სამი თვის მიღწევის შემდეგ. საინტერესოა, ასევე, რომ აღრიცხვამდე აუცილებელია მოხდეს მათი კასტრაცია ან სტერილიზაცია. [81]

ავსტრალიის კანონმდებლობის მიხედვით, მის მთელ ტერიტორიაზე აკრძალულია კომპანიონი ცხოველის მიტოვება. მეპატრონის ასეთი ქმედება მიიჩნევა, ზოგიერ მუნიციპალიტეტში მძიმე, ზოგიერთში კი ნაკლებად მიძე დანაშაულად. თუმცა, ყველა შემთხვევაში ისჯება ჯარიმით ან/და პატიმრობით.[82]

მართალია, რომ შტატებსა და მუნიციპალიტეტებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხავებები რეგულაციებში, ამის მიუხედავად, მსგავსია ცხოველთა კეთილდღეობის კანონმდებლობის აღსრულების ტიპიური მოდელი. აღნიშნული წესით, ადგილობრივი თვითმმართველობ შეზღუდულია კანონის აღსრულებისა და დადგენილი სტანდარტების დაცვის განმახორციელებელი უფლებამოსლი პირების არჩევაში. ავსტრალიაში ეს შეიძლება იყოს პოლიცია, უწყებრივი დეპარტამენტი და ცხოველთა სისასტიკის აღკვეთის სამეფო გაერთიანება (The RSPCA).[83]

სამართალდამცავი უწყების როლი ასეთ შემთვევებში, ძირითადად, შეზღუდულია. ავსტრალიაში, ისევე როგორც გაერთიანებულ სამეფოში, ცხოველთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა მხოლოდ ზოგად ვალდებულებას ქმნის პოლიციისთვის, რაც გულისხმობს სისხლის სამართლის კოდექსის აღსრულებას და ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას. რაც შეეხება The RSPCA- ს, ეს არის პირველი არასამთავრებო ორგანიზაცია, რომელიც ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებს კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის მიზნით არსებული რეგულაციების აღსრულებას.[84]

---

[81] M. Hayward, Companion Animals in Law – Animal Welfare and Animal Management, გვ. 1.

[82] S. White, Companion Animals: Members of the Family or Legally Discarded Objects?, UNSW Law Journal Volume 32(3), 2009,გვ. 869. ელ. ხელმისაწვდომიაhttps://www.austlii.edu.au/au/journals/UNSWLJ/2009/42.pdf.

[83] S. White, Regulation of Animal Welfare in Australia and the Emergent Commonwealth: Entrenching the Traditional Approach of the States and Territories or Laying the Ground for Reform?, Standard regulatory approach, 2007. ხელმისაწვდომია http://www.austlii.edu.au/au/journals/FedLRev/2007/14.html. (ნანახია 18.06.2019).

[84] იქვე.

6. კომპანიონ ცხოველთა დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ძირითადი მექანიზმები

ადმინისტრაციულ ორგანოებზე დაკისრებული ვალდებულება კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შეიძლება მიღწეულ იქნეს საერთაშორისოდ აღიარებული სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. ქვემოთ განხილული იქნება ის ძირითადი მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს დაიცვას და მაქსიმალურად სტანდარტებთან შესაბამისი საარსებო პირობები შეუქმნას ჩვენს გვერდით მობინადრე ცოცხალ არსებებს.

6.1. ცხოველთა პოპულაციის კონტროლი

დღევანდელ სამყაროში, კომპანიონ ცხოველთა[85] პოპულაციის მართვა და კონტროლი გლობალური განხილვის საგანს წარმოადგენს. სტატისტიკის თანახმად, შეერთებულ შტატებში ყოველ წელს 30 მილიონი ძაღლი და კატა იბადება, ხოლო უსახლკარო ცხოველების რაოდენობა მთელს მსოფლიოში 500 მილიონს აჭარბებს. [86] შესაბამისად, ნათელია რამდენად მასშტაბურია ეს პრობლემა. რაც შეეხება საქართველოს, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2015 წელს ჩატარდა კვლევა თბილისში ბინადარი უპატრონო ძაღლების პოპულაციის რიცხოვნობის დადგენის მიზნით. შედეგების მიხედვით მათი საერთო რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 43 000-სს.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბევრი სახელმწიფო მივიდა დასკვნამდე, რომ სისწრაფე, რომლითაც ცხოველები მრავლდებიან, განსაკუთრებულ პრობლემას ქმნის მათ ქალაქებში. ეს, პირველ რიგში, უარყოფითად გამოიხატება, როგორც ადამიანთა, ასევე, მათ გარშემო მყოფ ცოცხალ არსებათა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხარისხზე. ამასთანავე, ბევრ ქვეყანაში გავლენას აქდენს სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და რელიგიურ საკითხებზე.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრა უნდა მოხდეს, საერთაშორისოდ დადგენილი ჰუმანური სტანდარტების შესაბამისად. კომპანიონ ცხოველთა დაცვის ევროკონვენციის მიხედვით, ცხოველთა რაოდენობის შემცირება და კონტროლი უნდა მოხდეს საჭიროებისამებრ, ტკივილისა და ტანჯვის გარეშე.[87]

---

[85] ძირითადად, ეს ეხება ძაღლებს.

[86] T. Gillett ,Pet Overpopulation: A Global Crisis, International Animal Health Journal, Volume 1 Issue 2,2014, გვ. 38. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://www.animalhealthmedia.com/wp-content/uploads/2014/11/Pet-Overpopulation....pdf .

[87] იხ. European Convention for the Protection of Pet Animals, Chapter III, Article 12.

როგორც საზღვარგარეთის სახელმწიფოების უმეტესობაში, საქართველოშიც პოპულაციის კონტროლი შედის ადგილობრივი თვითმმართველობების პასუხისმგებლობებში. ამ მხრივ, ჩვენს ქვეყანაში, საკმაოდ რთული მდგომარეობაა. მუნიციპალიტეტების გარკვეული ნაწილი მცირედითაც არ ცდილობს ამ საკითის მოგვარებას, ხოლო ზოგიერთ მათგანში ფიქსირდება პრობლების გადაჭრა. თუმცა, სამწუხაროდ, არაჰუმანური მეთოდებით. შეიძლება ითქვას, რომ პოპულაციის მართვის ყველაზე განვითარებული და ჰუმანური წესები მოქმედებს ქ. თბილისის ტერიტორიაზე. შესაბამისად, ამ თავში ძირითადად მიმოხილული იქნება მის ტერიტორიაზე დამკვიდრებული პრაქტიკა.

ცხოველთა პოპულაციის მართვისას ძირითადად აქცენტი კეთდება უპატრონო ცხოველებზე. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ამ კატეგორიაში მოიაზრება "ცხოველი, რომელზეც კონკრეტული მომენტისთვის არ ხორციელდება კონტროლი ან მეთვალყურეობა და ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანის შემდგომ არ დაუდგინდება პატრონი, განსაზღვრულ ვადაში და პირობებით". [88] თუმცა, აუცილებლად, უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობის მართვის წესები, ასევე, ვრცელდება პატრონიან [89] და მიკედლებულ ცხოველებზეც.[90]

თანამდეროვე მსოფლიოში გავრცელებულია კომპანიონი ცხოველების პოპულაციის მართვისა და კონტროლისა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომელთაც ქვემოთ განვიხილავ.

6.1.1.იდენტიფიკაცია/რეგისტრაცია

სახელმწიფოთა უმრავლესობაში დადგენილი წესების მიხედვით, კომპანიონი ცხოველების იდენტიფიკაცია სავალდებულოა. ეს არის ყველაზე ეფექტური გზა, რომელიც ნათლად აკავშირებს მეპატრონეს თავის კომპანიონთან. მითითებული წესი არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომლითაც ხდება მოვლა-პატრონობის ვალდებულების შესრულების წახალისება, დაკარგული ცხოველების მოძებნა და

---

[88] იხ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ", მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტი.

[89] იქვე, მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტი: "ცხოველი, რომელსაც ჰყავს პატრონი, კონკრეტული მომენტისათვის იმყოფება ცხოველის პატრონის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის კონტროლქვეშ და რეგისტრირებულია უფლებამოსილი ორგანოს ან შესაბამისი ვეტერინარული, კინოლოგიური, ფელინოლოგიური დაწესებულების ან ცხოველთა თავშესაფრის მიერ".

[90] იქვე, მე-2 მუხლის "გ" ქვეპუნქტი: "გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი ცხოველი, რომლის მეთვალყურეობას უზრუნველყოფს მიმკედლებელი".

ამასთანავე, შეუძლია იყოს მტკიცე საფუძველი კანონმდებლობის აღსრულებისათვის (მაგ. ცხოველის მიტოვებისა და სავალდებულო რეგულარული ცოფის ვაქცინაციის საკითებში).[91]

კომპანიონი ცხოეველების იდენტიფიცირების მიზნით, უნდა მოხდეს მათი აღწერა სხვადასხვა მისაღები საშუალებებით (მაგალითად, ჩიპირება, ტატუირება ან სხვა ნაკლებად მტკივნეული პროცედურები) და ადგილობრივ რეესტრში შესაბამისი ნომრით გატარება.

საქართველოში, კომპანიონი ცხოველების სავალდებულო რეგისტრაციის წესის დადგენა პირველად განხორციელდა თბილისის ტერიტორიაზე 2015 წელს მიღებული დადგენილების საფუძველზე. პატრონის ან მიმკედლებლის მიმართვის შედეგად, აღნიშნულ ღონისძიებას ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო, შესაბამისი ვეტერინარული, კინოლოგიური, ფელინოლოგიური დაწესებულებები ან ცხოველთა თავშესაფრები.[92] მონიტორინგის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით თბილისის ტერიტორიაზე, 2015 წლიდან დღემდე დარეგისტრირებულია 10654 კომპანიონი ცხოველი.

საინტერესოა, ამ მხრივ ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი წესი. დადგენილების მიხედვით ცხოველთა რეგისტრაცია და რეგისტრაციის მომსახურება უფლებამოსილი ორგანოს მიერ ხორციელდება მისვლით უსასყიდლოდ.[93]

რაც შეეხება იდენტიფიკაციას, თბილისის ტერიტროიაზე მას ახორციელებს ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, ხოლო რეგიონებში შესაბამისი უფლებამოსილი პირები. ეს გულისხმობს ცხოველზე საინდენტიფიკაციო საშუალების განთავსებას მიკროჩიპირებით, ტატუირებით ან "საბეჭდით"(ბირკით).[94]

---

[91] Humane Dog Population Management Guidance, International Companion Animal Management Coalition, 2007, გვ.13. ხელმისაწვდომია.:https://d31j74p4lpxrfp.cloudfront.net/sites/default/files/ca_-_en_files/icam_dog_population_management_tcm22-8291.pdf.

[92] იხ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ",მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილი.

[93]იხ. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება " ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების – ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ", მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილი.

[94] იხ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №17-56 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო''-ს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ, მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტი.

6.1.2. სტერილიზაცია/კასტრაცია

მსოფლიოში გავრცელებულ ცხოველთა პოპულაციის მართვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ხერხს წარმოადგენს სტერილიზაცია/კასტრაცია.[95] თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი ყველა ქვეყანაში არ მუშაობს, მაგალითად, ის უშედეგო აღმოჩნდა ავსტრალიაში.[96]

თავშესაფრებისა და საერთაშორიო ორგანიზაციების მიერ საზოგადოების ინფორმირება სტერილიზაცია/კასტრაციიასთან დაკავშირებით აქტიურად დაიწყო 1950-იან წლებში, როდესაც აღნიშნული ქირურგიული ჩარევა, როგორც პოპულაციის მართვის ერთ-ერთი მეთოდი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა.[97]

მრავალ ქვეყანაში დადგენილი წესების მიხედვით, ვეტერინარული კლინიკები და თავშესაფრის ვეტერინარები სტერილიზაცია/კასტრაციის მეთოდს მიმართავენ. რაც გულისხმობს, როგორც ქუჩაში მობინადრე, ასევე პატრონიანი ცხოველებისთვის გამრავლების უნარის შეჩერებას. აღნიშნული ხერხის გამოყენებით ხდება ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის პრევენცია, მაგალითად, როგორიცაა არასასურველი ლეკვები და კნუტები, რომლებიც მომავალში, დიდი ალბათობით, იქნებიან უსახლკაროები და ადამიანების მიერ გამოვლენილი ძალადობისა და სისასტიკის მსხვერპლნი.

საქართველოში, კომპანიონ ცხოველთა მოვლა - პატრონობასთან დაკაშირებული მოქმედი დადგენილებებიდან მხოლოდ გარკვეული ნაწილი შეიცავს დათქმას სტერილიზაცია/კასტრაციის გზით პოპულაციის გასაკონტროლებლად. [98] საინტერესოა, თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი წესი, რომლის მიხედვით, გამრავლების შესაძლებლობის სავალდებულო წესით შეწყვეტას ექვემდებარება ნარევი (მეტისი) ჯიშის ცხოველი. [99] საკითხის რეგულირებისას, აშკარად, იკვეთება არათანაბარი მიდგომა. ნათლად ჩანს რომ ნორმა არ ეხება ე.წ. ჯიშიან ცხოველებს და პატრონს კასტრაცია / სტერილიზაციის ვალდებულება ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში

---

[95]T. Gillett ,Pet Overpopulation: A Global Crisis, International Animal Health Journal, Volume 1 Issue 2, 2014,გვ. 40. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://www.animalhealthmedia.com/wp-content/uploads/2014/11/Pet-Overpopulation....pdf.

[96] M. Hayward, Companion Animals in Law – Animal Welfare and Animal Management, გვ. 2.

[97] Animal Sheltering, The Oxford Handbook of Animal Studies, Edited by Linda Kalof, Oxford University Press, 2015, გვ. 5. ხელმისაწვდომია: https://www.academia.edu/18543976/_Animal_Sheltering_Oxford_Handbook_of_Animal_Studies.

[98] ესენია: ბათუმის, ახალქალაქის, ხაშურის, ვანის, ჩოხატაურის, თბილისის, ჩხოროწყუს,

[99] იხ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ",მე-6 მუხლის მე-8 ნაწილი.

თუ მისი კომპანიონი ცხოველი ე.წ. მეტისია. ვფიქრობ, პოპულაციის მართვისა და კონტროლის მიზნებისთვის, მსგავსი დიფერენცირება გაუმართლებლი და მიუღებულია.

მსოფლიოში არსებული ცხოველთა დაცვის რეკომენდაციებში მითითებულია სტერილიზაცია-კასტრაცია-ვაქციანცია-უკან დაბრუნების მეთოდი, როგორც ცხოველების პოპულაციის მართვის ერთადერთი ეფექტური საშუალება. პრობლემის გადაჭრის აღნიშნული ხერხი განმტკიცებულია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ დადგენილებაში.[100] ამ შემთხვევაში ხდება უმეთვალყურეო ცხოველების დაჭერა ჰუმანური საშუალებებით, მათზე შესაბამისი ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელება, ვაქცინაცია, კასტრაცია (რაც ხელს უწყობს მიუსაფართა დეპოპულაციას), საჭიროების შეთხვევაში ევთანაზია და კლინიკურად ჯანმრთელი ცხოველების დაბრუნება იმ ტერიტორიაზე საიდანაც მოხდა მისი აყვანა. ამ პროცედურის გავლის შემდგომ, ცხოველს უკეთდება ნიშანი, რომლითაც მისი იდენტიფიცირება მარტივია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდი არ არის გამოყენებადი ყველა სიტუაციაში და შეიძლება იყოს უკანონო ისეთ ქვეყნებსა და რეგიონებში, სადაც კანონმდებლობა კრძალავს კომპანიონი ცხოველების მიტოვებას. იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივ მოსახელობას მრავლად ჰყავს ძაღლები, მიზანშეწონილია ყურადღების გამახვილება მოვლა - პატრონობის ვალდებულების შესრულების პოპულარიზაციასა და წახალისებაზე და არა აღნიშნული მეთდის დანერგავზე. ამით, მოხდება მეპატრონეების მიერ არასასურველი კომპანიონი ცხოველის მიტოვების რისკების შემცირება.[101]

უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს თვითმმართველ ერთეულებში ვხვდებით პოპულაციის მართვისა და კონტროლის ინდივიდუალურ და გარკვეულ შემთხვევებში არატრადიციულ მეთოდებს. მაგალითად, 2018 წელს, ოთხმა მუნიციპალიტეტმა დააწესა კომპანიონი ცხოველების გამრავლებაზე ასაკობრივი შეზღუდვა. ახალქალაქის, ხაშურის, წყალტუბოს და ფოთის საკრებულოების დადგენილებების თანახმად, 2 წლამდე და 6 წლის ზემოთ ასაკის შინაური ცხოველების გამრავლება მხოლოდ წელიწადში ერთხელ დაიშვება, დაავადებული და დეფექტის მქონე ძაღლებისა და კატების კი საერთოდ

[100] იხ. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის დადგენილება №30 "ქალაქ ამბროლაურში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ", მე-7 მუხლის მე-3 ნაწილი.
[101] OIE, Terrestrial Animal Health Code (2018), CHAPTER 7.7., Article 7.7.6.

იკრძალება.[102] თუმცა, მეტად საეჭვოა, რამდენად მოხდება აღნიშნული წესის დაცვა და მის აღსრულებაზე კონტროლის განცხორციელება. შესაბამისად, მიღებული ნორმის შედეგუნარიანობა კითხვის ნიშნის ქვეშაა.

6.1.3 ევთანაზია

სამწუხაროდ, ევთანაზია ბევრ ქვეყანაში გახდა გამოსავალი ცხოველთა პოპულაციის ზრდის თავიდან ასაცილებლად.[103] სტატისტიკის თანახმად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ წელს 30 მილიონი ძაღლი და კატა იბადება. აქედან მილიონები ბოლოს უპატრონო ცხოველთა თავშესაფარში ხვდებიან, სადაც მხოლოდ აშშ-ში ყოველწლიურად ოთხიდან ექვს მილიონამდე მათგანს ხოცავენ.[104]

აღნიშნული მეთოდის გამოყენება ცხოველთა რაოდენობის სამართავად, მთელ მსოფლიოში, განხილვის საგანს წარმოადგენს. სახელმწიფოთა უმრავლესობამ აღიარა, რომ ჩვენს გარშემო მყოფ, ჯანმრთელ, ცოცხალ არსებათა მოკვდინება, თუნდაც ჰუმანური გზით, მათ რაოდენობის შემცირების მიზნებისთვის სრულიად მიუღებელია. ევთანაზიით ხდება მხოლოდ ცხოველთა პოპულაციის მატებასთან დაკავშრებული პრობლემების გამომწვევი სიმპტომების და არა მიზეზების აღმოფხვრა.[105] უსახლკაროთა მექანიკური გამოხშირვა განაპირობებს ბუნებრივი გადარჩევის პროცესს, რომელიც პოპულაციას სულ უფრო აგრესიულს ხდის, ხოლო რაოდენობას ვერ ამცირებს. გარდა იმისა, რომ არსებული მეთოდიკა ფინანსების უაზრო, უშედეგო და არამიზნობრივ ხარჯვას იწვევს, იგი იმდენად დესპოტურია, რომ მისი გამოყენება ნებისმიერი საზოგადოებისთვის სამარცხვინოა.

ცივილიზირებულ სახელმწიფოთა პრაქტიკა ნათლად მოწმობს, რომ ამგვარი მიდგომა სრულიად უშედეგო და არაფრის მომცემია, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ ღონისძიებების არაჰუმანურობაზე. საერთაშორისოდ დადგენილი

---

[102] Reginfo, ოთხმა საკრებულომ შინაურ ცხოველებს შეჯვარება და გამრავლება შეუზღუდა. ხელმისაწვდომია: https://reginfo.ge/people/item/7889-otxma-sakrebulom-shinaur-zxovelebs-shejvareba-da-gamravleba-sheuzguda?fb_comment_id=1624362724353811_1624966740960076. (ნანახია 20.06.19)

[103] T. Gillett ,Pet Overpopulation: A Global Crisis, International Animal Health Journal, Volume 1 Issue 2,2014,გვ. 40. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://www.animalhealthmedia.com/wp-content/uploads/2014/11/Pet-Overpopulation....pdf

[104] იქვე, გვ.38.

[105] Humane Dog Population Management Guidance, International Companion Animal Management Coalition, 2014, გვ.16. ხელმისაწვდომია: https://d31j74p4lpxrfp.cloudfront.net/sites/default/files/ca_-_en_files/icam_dog_population_management_tcm22-8291.pdf.

სტანდარტების მიხედვით, უმეტესი ქვეყნის კანონმდებლობით, ზუსტად არის დადგენილი, თუ რა შემთხვევაშია ნებადართული ევთანაზია, რაც ძირითადად გულისხმობს გადაუდებელი აუცილებლობის არსებობას.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ცხოველის მოკვდინებას პოპულაციის მართვის მიზნებისათვის. თვითმმართველი ერთეულების დადგენილებების მიხედვით, ევთანაზია დასაშვებია, მხოლოდ ჰუმანური მეთოდებით, მათთვის ფიზიკური ტკივილის და ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენების გარეშე. ძირითადად ნებადართულია მაშინ, როდესაც ცხოველს დაუდგინდება არაკორექტირებადი აგრესიული ქცევა ან ის იმყოფება სიცოცხლესთან შეუთავსებელ ჯანმრთელობის მდგომარეობაში, სიკვდილის წინა სტადიაში. დასაშვები შემთხვევების უფრო სრულყოფილ ჩამონათვალს ითვალისწინებს თბილისის ტერიტორიაზე მოქმედი დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ზემოთ განხილულ საფუძვლებთან ერთად სახეზე უნდა იყოს: 1) ადამიანებისა ან/და ცხოველებისათვის საშიში დაავადება; 2) III – IV სტადიის ონკოლოგიური დაავადება; 3) განუკურნებელი დაავადება; 4) შეუქცევად დაუძლურება, მათ შორის სიბერის პროცესის გაღრმავების შედეგად; 5) ფიზიოლოგიური ნაკლი (ახალშობილებში).[106]

ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობით დაუშვებელია ცხოველთა მოკვდინება შემდეგი მეთოდებით: ა) დახრჩობა; ბ) გაგუდვა; გ) მოწამვლა; დ) ელექტრო მუხტის გამოყენება; ე) მექანიკური დაზიანების მიყენება; ვ) იძულებითი შიმშილი, წყურვილი; ზ) პნევმატური იარაღის გამოყენება; თ) სხვა არაჰუმანური მეთოდები.[107]

სამწუხაროდ, საქართველოში, განხილულისგან განსხვავებით, უმძიმესი მდგომარეობა იყო სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ. რა დროსაც არსებობდა ცხოველების მექანიკური განადგურების დამკვიდრებული მახინჯი პრაქტიკა. მაგალითად, 2007 წლიდან 2011 წლამდე თბილისის მერიას კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული შ.პ.ს. „დებიუტთან". ქალაქის მთავრობამ ამ ორგანიზაციას 2800000 ლარი გადაურიცხა იმისთვის, რომ მაწანწალა ძაღლების პრობლემა მოეგვარებინა. ორგანიზაციის წარმომადგენლები სასტიკად იქცეოდნენ. 4 წლის განმავლობაში დაახლოებით 85000 ძაღლი მოკლეს.[108] მსგავსი ღონისძიებები

---

[106] იხ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ",მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი.

[107] იხ. იქვე, მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი.

[108] socialnetwork, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 50 % მტრულად არის განწყობილი ცხოველებისადმი,2014. ხელმისაწვდომია:

პოპულაციის მართვის პრობლემას არა თუ ხსნიდა, არამედ უფრო ამძიმებდა. უსახლკარო ცხოველების მექანიკური გამოხშირვა განაპირობებს ბუნებრივი გადარჩევის პროცესს, რომელიც პოპულაციას სულ უფრო აგრესიულს ხდის, ხოლო რაოდენობას ვერ ამცირებს.

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოსწორებული მდგომარეობა და გრძელდება საქართველოს მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში მოსახლეობის თვალწინ ქუჩის ცხოველთა ულმობელი მეთოდებით დაჭერა, არასპეცმანქანებით ტრანსპორტირება, მათი დამწყვდევა და სასტიკი მეთოდებით მოკვდინება.[109] თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვაქვს დადებითი გამონაკლისებიც. რამდენიმე მუნიციპალიტეტის მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცხოველთა მოკვდინების ნაცვლად სტერილიზაცია-კასტრაცია-ვაქციანცია-უკან დაბრუნების მეთოდის გამოყენებამ მდგრადი შედეგი გამოიღო.[110] შესაბამისად, აუცილებელია, მოხდეს საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული ჰუმანური მეთოდების დამკვიდრება და თვითმმართველი ორგანოების მიერ ამისათვის საჭირო ყველა აუცილებელი მოქმედების განხორციელება.

6.1.4. თავშესაფარი

კომპანიონ ცხოველთა პოპულაციის მართვაზე საუბრისას, აუცილებალად უნდა შევეხოთ თავშესაფრების საკითხს. მსგავსი დაწესებულებების გამოყენება თავისი შინაარსით არ წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის გზას. თავშესაფრები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც საკითხის რეგულირების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ასეთი დაწესებულებების აშენება თავისთავად ვერ მოაგვარებს პოპულაციის ზრდის პრობლემას.[111] არსებობს თავშესაფრის ოთხი ძირითადი სახეობაა - მუნიციპალური, კერძო, სამაშველო ორგანიზაციები და "მოხალისეობრივი სახლები" (სამაშველო ორგანიზაციები, რომელთაც არ აქვთ

---

http://www.socialnetwork.ge/en/interview/text/sazogadoeba/35-saqartvelos-mosakhleobis-daakhloebit--50--mtrulad-aris-gantskhobili-tskhovelebisadmi#.XPtlU4gzYdU (ნანახია 21.06.2019).

[109] საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება, ცხოველთა ყოფა საქართველოში, ხელმისაწვდომია: http://gspsa.org.ge/animal-welfare/ (ნანახია 06.08.2019).

[110] ცხოველთა კეთილდღეობის ეროვნული სტრატეგია (2014-2016) გვ. 7. ხელმისაწვდომია http://www.parliament.ge/.

[111] Basic Management Guidelines for Dog and Cat Shelters, Animals Asia and the Humane Society International,2010, გვ.5. ხელმისაწვდომია:https://www.animalsasia.org/cn/assets/pdf/1%20Basic%20Management%20Guidelines%20for%20Dog%20and%20Cat%20Shelters.pdf.

საკუთარი შენობა და ცხოველთა განთავსება ხდება დროებით მოხალისეთა სახლებში).[112]

სტატისტიკის მიხედვით, ა.შ.შ-ს თავშესაფრებში, ყოველწლიურად დაახლოებით 6.5 მილიონი კომპანიონი ცხოველი შედის, საიდანაც 3/3 მილიონი ძაღლია, ხოლო 3.2 მილიონი კატა. მათგან დაახლოებით 1.5 მილიონს ევთანაზია უკეთდება.[113]

საქართველოს რეგიონებში მოქმედ კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებულ დადგენილებებში ვხვდებით ცხოველთა თავშესაფრის განმარტებას. მათი მიხედვით, ეს არის დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველთა პოპულაციის მართვას, მიუსაფარი ცხოველების სამართლებრივი სტატუსის დადგენას, მოვლა-პატრონობას, მათთვის ახალი მეპატრონეების მოძიებას, გადაცემას და სხვა საჭირო პროცედურების განხორციელებას. დღეისათვის თავშესაფრები აშენებულია ისეთ ქალქებში, როგორიცაა თბილისი, ქუთაისი, გორი, ბათუმი და სხვა. ეს არის არაკომერციული დაწესებულება, რომელიც საქმიანობას არ ახორციელებს მოგების მიღების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დაუშვებელია თავშესაფარში ცხოველების გამრავლება და გაყიდვა.[114] აღნიშნული სახელმწიფო დაწესებულება არ წარმოადგენს ცხოველთა მუდმივად განთავსების ობიექტს. თავშესაფრში ხორციელდება შეყვანილ ცხოველზე დაკვირვება, სრული სამედიცინო მომსახურების გაწევა, "დაბირკვა-დაჩიპვა" და ჯანსაღი, კასტრაცია-სტერილიზაციის ჩატარება. რის შემდეგაც, ხდება ცხოველის პირვანდელ არეალში დაბრუნება ან გაჩუქება.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ზემოქმედებისა და დარწმუნების შედეგად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ქუჩის უსახლკარო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად. 2012 წლიდან ფუნქციონირებს

---

[112] K. Pariser, Detailed Discussion of the Laws Regulating Rescue and Foster Care Programs for Companion Animals, Michigan State University College of Law, 2014. ხელმისაწვდომია:https://www.animallaw.info/article/detailed-discussion-laws-regulating-rescue-and-foster-care-programs-companion-animals.

[113]The ASPCA ,Pet Statistics. ხელმისაწვდომია: https://www.aspca.org/animal-homelessness/shelter-intake-and-surrender/pet-statistics (ნანახია 21.06.2019).

[114] იხ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 ივნისის დადგენილება №41 "ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადრი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ", მე-7 მუხლის მე-9 ქვეპუნტქი.

მუნიციპალური ცხოველთა თავშესაფარი, სადაც 2018 წლის განმავლობაში 8605 ცხოველი იქნა შეყვანილი.

თბილისსში მოქმედი კანონმდებლობა აწესებს შემდეგ სტანდარტებს, რომლესაც უნდა აკმაყოფილებდეს ცხოველთა თავშესაფარი:

ა)თავშესაფარს უნდა გააჩნდეს ცხოველების:

ა.ა) ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს ბეწვის, ნაცხის, ფეკალის და სისხლის კვლევას ან ლაბორატორიული კვლევის უზრუნველყოფის ქმედით შესაძლებლობას;

ა.ბ) ვეტერინარული სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფრის დანიშნულებით განსაზღვრული აუცილებელი ვეტერინარული მანიპულაციების ჩატარებას;

ა.გ) საკარანტინო სივრცე (ვოლიერები), რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფარში შემოყვანილი ცხოველის იზოლაციას სხვა ცხოველებისგან, ლაბორატორიული კვლევის შედეგად ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენამდე ან დაავადებული ცხოველის განკურნებამდე, თავშესაფრიდან გაყვანამდე, ევთანაზიამდე;

ა.დ) განთავსების ვოლიერები;

ა.ე) გასეირნების უზრუნველყოფის სივრცე;

ბ) თავშესაფარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყლით, ელექტროენერგიით, კანალიზაციით, ვენტილაციით, სახანძრო სიგნალიზაციით;

გ) თავშესაფარში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცხოველების ყოფა-ცხოვრების მინიმალური პირობები - სათანადო კვება, დაწყურვება, სისუფთავე, დათბუნება, განათება;

დ) ცხოველის განთავსების ვოლიერის სივრცე უნდა აძლევდეს ცხოველს მინიმალური გადაადგილების, საკვების მიღებისა და გადამუშავების შესაძლებლობას;

ე) აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო და საწარმოო ნორმებს და წესებს, სხვა მოთხოვნებს: საპროექტო-სამშენებლო, სანიტარიულ-ჰიგიენური, სახანძრო უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოების და ა.შ.[115]

თბილისის მაგალითი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც, დადებითი გამონაკლისი, სადაც მაქსიმალურად უზრუნველყოფილი და დაცულია

[115] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ", მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილი.

საერთაშორისო სტანდარტები. სამწუხაროდ რეგიონებში საგრძნობალად მძიმე მდგომარეობაა. ბოლო დროს, აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია ახალციხისა და ზუგდიდის მუნინციპალიტეტების ტერიტორიაზე მობინადრე ძაღლების დაჭერასთან და ისეთ თავშესაფარში მოთავსებასთან დაკავშირებით,სადაც დარღვეულია მათი კეთილდღეობისათვის აუცილებელი ყველანაირი სტანდარტი.

თუმცა, ამასთანავე, არის მუნიციპალიტეტები, სადაც მნიშვნელოვნად გამოსწორდა მდგომარეობა. მაგალითად, 2015 წლის მონაცემებით, ქუთაისის მუნიციპალურ თავშესაფარს წარმოადგენდა დანგრეული შენობა, გადაუხურავი ვოლიერებით, სტანდარტებთან შეუსაბამო ვეტერინარული ბლოკითა და ერთად განთავსებული ათეულობით ძაღლით.[116] სიტუაცია შეიცვალა 2017 წელს. დღეის მდგომარეობით, მერიის ააიპ "სპეციალური სერვისების" დაქვემდებარებაში არსებული თავშესაფარი 300 ძაღლზეა გათვლილი და ცხოველთა მოვლა-პატრონობისთვის ყველა პირობაა შექმნილი.[117]

პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განცხადება, 2019 წელს ყველა რეგიონში ცხოველთა თავშესაფრის აშენებასთან დაკავშირებით. [118] აღნიშნული მუნიციპალური დაწესებულებები მნიშვნელოვანია აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტს - განთავსებული იყოს შემოღობილ ტერიტორიაზე და აღიჭურვოს ადმინისტრაციული და კარანტინის შენობებით, ვეტერინარული კლინიკით, ლაბორატორიით, ვოლიერებითა და ყველა სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით. მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის პროექტირებაზე ტენდერი გამოცხადებულია ზუგდიდში,[119] ხოლო სამცხე–ჯავახეთში, ცხოველთა ინტერმუნიციპალური თავშესაფრის მშენებლობისათვის, პროექტი უკვე მზად

---

[116] საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, ქუთაისის მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარი – 90 ათას ლარად მიღებბული უხარისხო მომსახურება,2015. ხელმისაწვდომია: https://www.transparency.ge/ge/blog/kutaisis-miusapar-tskhovelta-tavshesapari-90-atas-larad-mighebuli-ukhariskho-momsakhureba (ნანახია 22.06.2019).

[117] newpress, ქუთაისში ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფარი გაიხსნა,2017. ხელმისაწვდომია http://newpress.ge/qutaisshi-cxovelta-municipaluri-tavshesafari-gaixsna (22.06.2019).

[118] საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს რეგიონებში ცხოველთა თავშესაფრების მშენებლობა იწყება,2018. ხელმისაწვდომია: http://www.mrdi.gov.ge/ge/news/საქართველოს-რეგიონებში-ცხოველთა-თავშესაფრების-მშენებლობა-იწყება-0 (ნანახია 22.06.2019).

[119] livepress, ზუგდიდში მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის პროექტირებაზე ტენდერი გამოცხადდა, 2019. ხელმისაწვდომია: https://www.livepress.ge/ka/akhali-ambebi/article/28721-zugdidshi-miusafar-ckhoveltha-thavshesafris-proeqtirebaze-tenderi-gamockhadda.html (ნანახია 22.06.2019).

არის. ის შემუშავებულია პოპულაციის მართვის საერთაშორისო ჰუმანურ პრინციპებზე დაყრდნობით და მოემსახურება რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტს.[120]

როგორც განხილულიდან ჩანს, ცხოველთა პოპულაციის სამართავად, სახელმწიფო ორგანოების მიერ გადადგმულია მნიშვნელოვანი სასიკეთო ნაბიჯები, თუმცა ეს საკმარისი არ არის. აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ პრობლემის მოსაგვარებლად გამოიყენოს საერთაშორისოდ აღიარებული ჰუმანური მეთოდები, მხედველობაში მიიღოს ამ სფეროში მოღვაწე ადგილობრივი და მსოფლიოში ცნობილი სხვა ორგანიზაციების რეკომენდაციები. უსახლკარო ცხოველების პრობლემის ეფექტური გადაწყვეტისათვის პირველი ნაბიჯები უნდა იყოს: მასობრივი აცრები, სტერილიზაცია, კასტრაცია, მიკედლების ადგილებზე დაბრუნება და ცხოველების გაჩუქება-დაბინავებაზე ზრუნვა, რაც კეთილმოწყობილ თავშესაფარში უნდა ხდებოდეს და შესაბამის საკანონმდებლო ბაზას ეყრდნობოდეს.

6.2 კანონის აღსრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ინსტიტუტის არსებობა.

6.2.1 კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის მაკონტროლირებელი ორგანო

იმისათვის, რომ საქართველოში უზრუნველყოფილი იყოს კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობა, აუცილებელია არსებობდეს ეფექტური მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული დადგენილებების აღსრულებას და ყოველდღიურ ცხოვრებაში გატარებას. აღნიშნული გულისხმობს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სპეციულური ორგანოსა თუ პირებისათვის საზედამხედველო და მაკონტროლირებელი უფლებამოსილების მინიჭებას.

სამწუხაროდ, საქართველოს თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები, ცხოველთა ყოლისა და მოვლა - პატრონობის წესების დადგენის შესახებ, არ ითვალისწინებს კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი და მაკონტოლებელი ინსტიტუციის არსებობას. გამონაკლისია თბილისის მუნიციპალიტეტის შემთხვევა, რომლის

[120] სამხრეთის კარიბჭე, როგორი იქნება მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარი სამცხე–ჯავახეთში, 2018.ხელმისაწვდომია: http://sknews.ge/index.php?newsid=18294. (ნანახია 22.06.2019).

დადგენილებაშიც ვხვდებით მითითებას უფლებამოსილ ორგანოზე, როგორც "იურიდიული პირზე, რომლის კომპეტენციას წარმოადგენს ქალაქ თბილისში ცხოველების მონიტორინგი და პოპულაციების მართვა-კონტროლის ორგანიზება, კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად''.[121]

თბილისის ტერიტორიაზე 2014 წლის 12 დეკემბრიდან ფუნქციონირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო). ის წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან განცალკევებულ ორგანიზაციას, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებზე დაყრდნობით, როგორიცაა კანონიერება, გამჭვირვალობა, ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა და სხვა.[122]

სააგენტოს დებულებაში დეტალურად არის გაწერილი მისი ფუნქციები და საქმიანობის საგანი- ცხოველთა უსაფრთხოების ღონისძიებათა ორგანიზება, სასტიკი და არაჰუმანური მოპყრობისაგან მათი დაცვის უზრუნველყოფა ცხოველთა მოვლა-პატრონობის და ბრუნვის დადგენილი წესების დაცვაზე კონტროლის განხორციელება, ასევე ცხოველების გაჩუქება, მიკედლება ან/და დაინტერესებულ პირთათვის მათი დაბრუნებისას, საჭიროების შემთხვევაში შემდგომში მათი მოვლა-პატრონობის პირობების კონტროლი და სხვა.[123] ასევე, კონტროლის განსახორციელებლად, სააგენტოს მინიჭებული აქვს ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, როგორიცაა კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა და დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება. ადმინისტრაციულ სამართლებრივი სახდელის (ჯარიმა) შეფარდების უფლებამოსილება მონიტორინგის სააგენტოზე დელეგირებულ იქნა 2015 წლის 01 დეკემბრიდან. 2016 წლიდან 2019 წლის ივნისის ჩათვლით პერიოდში 2373 დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიმართ იქნა გამოყენებული ჯარიმა.

---

[121] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №7-28 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ, მე-2 მუხლის "უ" ქვეპუნქტი.

[122] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №17-56 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაფუძნების და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ, მე-2 მუხლი.

[123] იქვე, მე-3 მუხლის "მ","ნ","ზ" ქვეპუნქტები.

ქ.თბილისის მაგალითი შეგვიძლია განვიხილოთ დადებით გამონაკლისად. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისია მოცემულ სფეროში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. საინტერესოა, განვიხილოთ, საზღვარგარეთის ქვეყნებში დამკვიდრებული ზედამხედველობის ისეთი ფორმაც, რომელიც გულისხმობს ცხოველთა ინსპექტორების (ცხოველთა მონიტორინგის ოფიცრის) არსებობას.

6.2.1 ცხოველთა მონიტორინგის ოფიცრები

ამერიკაში, პირველი კანონები ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ მიღებულ იქნეა ნიუ იორკსა (1820) და მასაჩუსეტში (1830), მაგრამ ამ დროისთვის არ არსებობდა სპეციალური აღმსრულებელი ორგანოები. პირველი ორგანიზაცია (American Society for the Prevention of Cruelty to Animals), რომელმაც ამ კუთხით დაიწყო მუშაობა დაარსდა 1866 წელს ჰენრი ბერგის მიერ. ის მიხვდა, რომ ცხოველების დასამხარებალდ მხოლოდ კანონების მიღება არ იყო საკმარისი და აუცილებელი იყო მათი აღსრულების უზრუნველყოფა.[124]

ამერიკაში არ არსებობს კომპანიონ ცხოველთა მარეგულირებელი სპეციალიზებული სახელმწიფო სააგენტო. უმეტეს ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში, მიღებული დადგენილებების აღსრულება ხდება შტატის პოლიციის, შერიფებისა და მუნიციპალიტეტის ოფიცრების მიერ. [125] ჩვენს გარშემო ბინადარ ცოცხალ არსებათა კეთილდღეობაზე კონტროლის განხორციელების უფლებამოსილების პოლიციისთის მინიჭება თავისთავად უზრუნველყოფს ცხოველთა მონიტორინგის ოფიცრების არსებობას დამატებით ადამიანური რესურსის დახარჯვის გარეშე. [126]

როგორც წესი, ცხოველთა მონიტორინგის ოფიცერები (შემდეგში - ოფიცერი) დასაქმებულები არიან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ცხოველებისა და მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. მათ აქვთ უფლებამოსილება გამოიძიონ პარტნიორ ცხოველებზე ძალადობის ფაქტი, გაესაუბრონ მეზობლებს, შეხვდენენ პატრონებს, საჭიროების შემთხვევაში ჩამოართვან მათ ცხოველი, გამოწერონ ჯარიმა და მეპატრონის წინააღმდეგ

---

[124] N. R. Pallotta, Chattel or Child: The Liminal Status of Companion Animals in Society and Law, Animal Legal Defense Fund, USA, 2019, გვ. 5.

[125] S. Hunter/ Richard A. Brisbin, Pet Politics: The Political and Legal Lives of Cats, Dogs, and Horses in Canada and the United states, United States of America, 2016, გვ. 360.

[126] st. aronson, animal conrtol management a new look at public responsibility, indiana, 2010, გვ. 15.

გამოვიდეს კიდეც სასამართლოში.[127] ზოგიერთ თვითმმართველ ქალაქსა და მუნიციპალიტეტში არსებული დადგენილებების მიხედვით მათ, ასევე, აქვთ დაკავების უფლება. თუმცა, უმეტეს შემოთხვევაში, ოფიცრები შეზღდულები არიან მსგავსი უკიდურესი ზომების მიღებაში. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ისინი მიმართავენ პოლიციას აუცილებელი მოქმედებების განსახორციელებალად.[128]

ამერიკაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ოფიცრები არ არიან, უბრალოდ "ძაღლის დამჭერები". დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად მათი სერტიფიცირება ხდება შტატის მიერ. ოფიცერი კარგად უნდა ერკვეოდეს, ისეთ მნიშვენლოვან საკითხებში, როგორიცაა სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი რეგულაციები, რათა შეძლოს სასამართლოში ქალაქის სახელით გამოსვლა და მისი წარმოდგენა და ა.შ. ისინი ამასთანავე არიან სერტიფიცირებული ევთანაზიის სპეციალისტები.

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის მიხედვით, ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, ოფიცერს ენიჭება შემდეგი უფლებამოსილებები:

- მოახდინოს რეაგირება ცხოველთა მიმართ სისასტიკის ფაქტებზე და გადაარჩინოს ისინი მოძალადე პატრონებისაგან;
- გამოიძიოს კანონდარღვევის შემთხვევები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ოფიცრის მიერ სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენება მოძალადის მიმართ;
- როდესაც მოხდება ავადმყოფი ან დაჭრილი ცხოველების აღმოჩენა, ოფიცერი აფასებს არსებულ მდგომარეობას. თუ ცხოველი გარდაუვალი სასიკვდილო საფრთხის ქვეშ იმყოფება, მისი ტანჯვის დასასრულებლად ოფიცერმა უნდა განახორციელოს ევთანაზია ჰუმანური გზით და სხვა. [129]

ცხოველთა ინსპექტორების ინსტიტუტი, ასევე, ფართოდ არის გავრცელებული ინგლისშიც. 2006 წელს მიღებული კანონით "ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ", ადგილობრივ ხელისუფლებას მიენიჭა უფლებამოსილება დაიწყოს სამართლებრივი დევნა იმ პირის წინააღმდეგ ვინც ტკივილს აყენებს ცხოველებს და ლახავს მის კეთილდღეობას. სამართლებრივი

---

[127] E. Shenk, Careers with Animals: Exploring Occupations Involving Dogs, Horses, Cats, Birds, Wildlife, and Exotics, United States of America, 2015, გვ. 21.

[128] S. Smith, Animal Control Officer Handbook, First Edition, , United States of America,2011. გვ.5

[129] What does an Animal Control Officer do?, The Coral Springs Police Department. ხელმისაწვდომია https://www.coralsprings.org/government/other-departments-and-services/police/humane-unit/about-us/what-does-an-animal-control-officer-do (ნანახია 11.06.2019).

აქტის მიხედვით, ფორმალური გამოძიება და მისი აღსრულება ევალებათ "ინსპექტორებს".[130] ინგლისში არ არსებობს სპეციალიზებული ორგანო, რომელიც გააკონტროლებს ცხოველთა კეთილდღეობისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფის საკითხს. ამიტომაც, კანონმა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას მიანიჭა დისკრეციული უფლებამოსილება დანიშნონ ინსპექტორები. თავდაპირველად იყო ვარაუდი, რომ ამისთვის მოხდებოდა არსებული საშტატო რესურსის გამოყენება და ინპექტორები იქნებოდნენ თითმმართველობის ორგანოებში უკვე დასაქმებული პირები, როგორც ეს განხორციელდა გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულებში. თუმცა, რამდენადაც ნორმას აქვს დისკრეციული ხასიათი, მუნიციპალიტეტთა 40%-მა საერთოდ არ მოახდინა მისი გამოყენება და პრაქტიკაში ასახვა. [131]

საინტერესოა, ასევე ის ფაქტი, რომ კანონი უფლებამოსილებას ანიჭებს ინსპექტორებს შევიდნენ შენობებში ცხოველთა მოძებნის მიზნით, რისთვისაც საკმარისია საფუძვლიანი ეჭვის არსებობა, რომ ცხოველი იტანჯება ან მომავალში დაიტანჯება თუ არ მოხდება მისი ჩამორთმევა. [132] აღნიშნული წესი არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ცხოველთა კეთილდღეობისათვის აუცილებელი პირობების დარღვევა ხდება კერძო საკუთრებაში. ასეთი ფაქტების აღსაკვეთად აუცილებელი მოქმედებები უნდა განხორციელდეს უფლებამისლი პირების მიერ გაცემული ორდერის საფუძველზე. [133] ეს წესი მნიშვნელოვნად ზღუდავს, ინსპექტორთა უფლებამოსილებების ფარგლებს.

შესაბამისად აუცილებელია მოხდეს, დღესდღეობით საქართველოს კანონმდებლობაში არსებული დანაკლისის შევსება და ჩამოყალიბდეს აღმასრულებელი და მაკონტროლებელი სისტემა - იქნება ეს სპეციალიზირებული სააგენტოები თუ ცხოველთა ოფიცრები. მთავარია, რომ მათი საშუალებით უზრუნველყოფილი იყოს:

1) ქვეყანაში ცხოველის, როგორც ცოცხალი არსების საარსებო გარემოს ხარისხის დამკვიდრება;

---

[130] F. Cooke/Sh. Crispin/M.Radford, Written evidence,2016. ხელმისაწვდომია http://data.parliament.uk/writtenevidence/committeeevidence.svc/evidencedocument/environment-food-and-rural-affairs-subcommittee/animal-welfare-domestic-pets/written/30660.pdf

[131] Animal welfare in England: domestic pets, House of Commons Environment, Food and Rural Affairs Committee, Third Report of Session 2016–17, გვ. 24

[132] Animal Welfare Act 2006 , Section 19(1)

[133] Animal Welfare Act 2006 , Section 19(3)

2) ცხოველების უსაფრთხოება, სასიცოცხლო ფუნქციონირება და მათი საარსებო გარემოს ხარისხის ცხოველთა კეთილდღეობის მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

6.3. ერთიანი კანონის არსებობა

6.3.1. კანონის მიღების აუცილებლობა კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად

საქართველოში ამჟამად არ არსებობს კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის მარეგულირებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა. არ გვაქვს მოქმედი კანონი, რომლშიც განმტკიცებული იქნებოდა ყველა ის ზოგადი პრინციპი და სტანდარტი, რომელიც აღნიშნული საკითხის დარეგულირების ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ყველა თვითმმართველ ერთეულს შეუძლია, საკუთარი გადაწყვეტილებით განსაზღვროს, როგორ უნდა იმოქმედოს კომპანიონ ცხოველებთან დაკავშირებით არსებული პრობლემების გადასაჭრელად. სამწუხაროდ, უმეტესწილად ეს გადაწყვეტილებები არამარტო არაჰუმანურია, არამედ არღვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ მუხლს (259 მუხლი) - ცხოველისადმი სისასტიკის შესახებ. სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებობდეს ერთიანი კანონი, რომელიც დაადგენს კომპანიონ ცხოველთა სამართლებრივ სტატუსს და დააწესებს მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ სტანდარტებს, რომელთა შესაბამისობაშიც უნდა მოდიოდეს ადგილობრივი თვითმმართელობის მიერ მიღებული თითოეული დადგენილება.

ადგილებროვი თვითმმარველობისათვის კომპანიონ ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების უფლებამოსილების მინიჭება, ერთის მხრივ, დადებითად შეიძლება შეფასდეს. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში დადგენილებების მიღება ხდება უშუალოდ თითოეული ტერიტორიული ერთეულისა და მისი მოქალაქეების საჭიროებებისა და პრობლემების გათვალისწინებით. თუმცა, მეორეს მხრივ, იკვეთება გადაწყვეტილების მიმღები პირების პირადი ინტერესების გამოკვეთა და მათი კანონმდებლობაში გატარება. შესაბამისად, გაზრდილი არის იმის რისკი, რომ დადგენილებები მორგებული იქნებიან არა საზოგადოებისა და კომპანიონი ცხოველების კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე, არამედ კონკრეტული

თანამდებობის პირების პოლიტიკაზე, მათ პირად შეხედულებებსა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

აუცილებელია არსებობდეს ერთიანი კანონი, რომელიც მოქმედი იქნება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და დაარეგულირებს შინაურ ბინადარ ცხოველთა სამართლებრივ სტატუსს. დააწესებს მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ სტანდარტებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მათი გადაადგილებისა და ტრანსპორტირებისათვის დასაშვებ სტანდარტებს, პატრონთა ვალდებულებებს შინაურ ბინადარ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოებისათვის. ასევე, განმტკიცებული იქნება ცხოველთა სასტიკი მოპყრობისაგან დაცვა, მოკვდინების (ევთანაზია) და კომერციული მოშენება-გამოყენებისა და მათი რეალიზაციის პირობები. კანონი უნდა ითვალისწინებდეს უკანონო გამრავლების აღკვეთას (რაც მომგებიანი უნდა გახდეს თვით ბიზნეს ოპერეტორებისთვის), რადგან ასეთი რეგულაციები ემსახურება მათი ბიზნესის დაცვას შავი ბაზრისგან.

6.3.2 „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ კანონპროექტის მოკლე მიმოხილვა

საქართველოში, ერთიანი კანონის მიღების მცდელობა ჯერ-ჯერობით უშედეგოდ მიმდინეორეობს. საქართველოს პარლამენტში პირველად, 2016 წელს დარეგისტრირდა ცხოველთა უფლებების დაცვაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების საკანონმდებლო წინადადება ადამიანის კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ ახალი კანონის პროექტისა და თანამდევ კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ.[134] თუმცა მისი განხილვა პირველი მოსმენით საკომიტეტო განხილვის ეტაპზე გაჩერდა. შემდეგ 2017 წელს დარეგისტრირდა მსგავსი შინაარსის ინიციატივა[135]. აღნიშნულთან ერთად, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ განხილვის პროცესში იყო მეორე ჯგუფის, საქართველოში მოქმედი

[134] იხ. კანონპროექტი # 07-3/543/8 : „ადამიანის კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/#law-drafting/11433.

[135] იხ. კანონპროექტი #21841/9: არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „ადამიანის კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან და თანმდევ პროექტებთან დაკავშირები. ხელმისაწვდომია:https://info.parliament.ge/#law-drafting/14697.

რეგისტრირებული ცხოველთა დაცვის ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ.“[136]

საბოლოო ჯამში, 2019 წლის 9 მაისს საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა კანონპროექტი[137],რომელიც მომზადდა ზემოთ განხილული, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებების (N21841; 14.11.2017 და N648; 18.01.2018) საფუძველზე.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზეზია შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობისათვის აუცილებელი და სათანადო ინსტიტუციებისა და სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მათი და ადამიანების თანაარსებობისათვის აუცილებელი უსაფრთხო და საიმედო გარემოს შექმნას. ასევე, ჩვენს კომპანიონ ბინადრებს შეუქმნის მათი რეალიზებისათვის აუცილებელ საცხოვრებელ გარემოს და სათანადო პირობებს. კანონპროექტის მიღება მიზნად ისახავს ქვეყანაში კომპანიონი ცხოველისათვის ხარისხიანი გარემოს დამკვიდრებას, მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფას და დაცვას. ასევე, ურბანულ გარემოში მათთვის უსაფრთხო, საიმედო გარემოს შექმნას და ამასთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრასა და მართვას. შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დანერგვას.

კანონპროექტის შემუშავების მიზანია ასევე, ადამიანისა და ცხოველის თანაცხოვრების პირობებში მოხდეს, ერთი მხრივ ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების, ხოლო მეორე მხრივ - ცხოველთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა გონივრული ბალანსის უზრუნველყოფის მეშვეობით.

კანონპროექტის I თავი მოიცავს ზოგად დებულებებს: კანონპროექტის მიზანსა და რეგულირების სფეროს, ასევე ტერმინთა განმარტებებს.

კანონპროექტის II თავი ადგენს შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის ძირითად პრინციპებს, მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, რაც თავის მხრივ გულისხმობს ბიოლოგიური წონასწორობის პირობებში თანაბარი არსებობის შესაძლებლობასა და ცხოველთა ტკივილისა და ტანჯვისაგან დაცვას. ამავე თავით დგინდება შინაური ბინადარი ცხოველის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გადაადგილებისა და ტრანსპორტირებისათვის დასაშვები სტანდარტები,

[136] იხ. კანონპროექტი # 648/9 : „ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ". ხელმისაწვდომიმა: https://info.parliament.ge/#law-drafting/15037.

[137] იხ. კანონპროექტი #07-3/337/9 : „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“. ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/#law-drafting.

პატრონთა ვალდებულებები მათი ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ასევე, რეგულირდება ცხოველთა სასტიკი მოპყრობისაგან დაცვა.

კანონპროექტის III თავი ადგენს შინაურ ბინადარ ცხოველთა მოკვდინების (ევთანაზია) და კომერციული მოშენება-გამოყენებისა და მათი რეალიზაციის პირობებს. დაუშვებელია ჩვენი კომპანიონების გამოყენება ისეთი საშუალებებითა და მეთოდებით, რაც გამოიწვევს მათ ტანჯვას ან ძლიერ ფიზიკურ ტკივილს. რაც შეეხება მოკვდინებას, აუცილებელია მოკვდინებისას ჰუმანური მეთოდების გამოყენება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ვეტერინარისა და კინოლოგის სავალდებულო მონაწილეობით დადგინდება შინაური ბინადარი ცხოველის განუკურნებელი და საშიში დაავადებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯანმრთელი ცხოველის მოკვდინება ჩაითვლება მისთვის სიცოცხლის განზრახ მოსპობად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონპროექტი ითვალისწინებს შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრებში მოთავსების შესაძლებლობას და ადგენს თავშესაფრებში საჭირო პირობების აუცილებლობას. კერძოდ, დარეგულირდება უმეთვალყურეო, უსახლკარო და მაწანწალა შინაური ბინადარი ცხოველების დაჭერისათვის აუცილებელი წინაპირობები და საჭიროების შემთხვევაში, მათი თავშესაფრებში განთავსების შესაძლებლობა შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით.

მნიშვნელოვანია ჩანაწერი (თავი V), რომლის შესაბამისადაც, შინაური ბინადარი ცხოველები ექვემდებარებიან სავალდებულო პირველად რეგისტრაციას, იდენტიფიკაციას და ყოველწლიურ საკონტროლო რეგისტრირებას. რეგისტრაციის შემდეგ კი მაიდენტიფიცირებელ საშუალებებს წარმოადგენს სვირინგი, „საჭდი“, მიკროჩიპი ან სპეციალური საყელური, რომელზეც განთავსებულია ცხოველის საიდენტიფიკაციო ნომერი და მეპატრონის მონაცემები.

ინიცირებული კანონპროექტის VI თავით დადგინდება ფიზიკური და იურიდიული პირების ვალდებულებები ისეთ სფეროებში, როგორიცაა კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობა და დაცვა ტანჯვისა და სასტიკი მოპყრობისგან ჰუმანური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, უსახლკარო ბინადართა პოპულაციის შემცირებაზე მიმართული ღონისძიებები, მათდამი ჰუმანური მოპყრობის მოთხოვნები.

უშუალო ფუნქციები კომპანიონ ცხოველთა ყოლის წესების განსაზღვრისა და მათი პოპულაციის მართვა-მონიტორინგის კუთხით მინიჭებული აქვს

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ კანონის მოთხოვნათა დაცვას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კანონპროექტით (თავი VII) გათვალისწინებულ ამკრძალავ ნორმებსაც. კერძოდ, მნიშვნელოვანი წინსვლა განხორციელდება ცხოველთა მონაწილეობით ორთაბრძოლების მოწყობასა და ასეთი ორთაბრძოლების პროპაგანდის აკრძალვას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ცხადია, მგავსი ქმედებები გამოიწვევს ინდივიდთა პასუხისმგებლობას.

კანონპროექტის მიხედვით, პასუხისმგებლობა კანონით გათვალისწინებული რეგულაციების დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსითა“ და „სისხლის სამართლის კოდექსით“.

ვინაიდან საქართველოში ამჟამად არ არსებობს კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის მარეგულირებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ინსტრუმენტები და ამასთან, სახელმწიფოთა პრაქტიკაც გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და გარდაუვალია აღნიშნული საკითხის რეგულირება, ზემოთ წარმოდგენილი და საერთაშორისოდ დადგენილი პრინციპები და სტანდარტები, მნიშვნელოვანია ასახული იყოს პარლმეტის მიერ მიღებულ კანონში.

6.4 ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კომპანიონი ცხოველისათვის ზიანის მიყენების შემთხვევებზე სათანადო რეაგირება.

კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობას ყველაზე ხშირად ზიანი ადგება სწორედ, ადამიანების მიერ მათ მიმართ ჩადენილი სასტიკი ქმედებების შედეგად. ბოლო დროს, ძალინ გახშირდა მათი დასახიჩრების, წამებისა და მოკვლის ფაქტები, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში გამეფებულ „დაუსჯელობის სინდრომთან“. რეალურად, ადამიანები არ მიიჩნევენ, რომ ცხოველთა მიმართ ჩადენილი სასტიკი ქმედებები წარმოადგენს მძიმე დანაშაულს. აღნიშნული წარმოადგონს პირდაპირ მტკიცებულებას, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს არსებული კანონმდებლობის ეფექტურ აღსრულებას და ჩვენ გვერდით მობინადრე ცოცხალ არსებათა მიმართ მიყენებული ზიანის შემთხვევები რჩება რეაგირების გარეშე.

დღესდღეობით, საქართველოში, ცხოველების წამებას არეგულირებს, როგორც სისხლის სამართლის კოდექსი [138] ,ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარ-

[138] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლი.

ღვევათა კოდექსი [139] . ეს ორი მუხლი, 2019 წლის 29 მაისამდე მოქმედი რედაქციით, ერთმანეთის იდენტური იყო და დასჯად ქმედებად ითვალისწინებდა ცხოველისადმი სასტიკი მოპრყობას, რომელმაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია. შესაბამისად, ჩვენს გვერდით ბინადარი ცოცხლაი არსებების წამების შემთხვევაშიც კი, მოქალაქე სასამართლოს, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ჯარიმით ტოვებდა. განხრციელებული ცვლილებების შედეგად მოხდა სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული დარღვევის ერთმანეთისგან გამიჯვნა.

დღეს მოქმედი რედაქციით, სისხლის სამართლის 259-ე მუხლი განიმარტება, როგორც „ცხოველის წამება და მისდამი სასტიკი მოპყრობა“, ხოლო ადმინისტრაციული 104-ე მუხლი გულისხმობს, „ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობას“. პირობითად, თუ პირველ შემთხვევაში საქმე გვქონდა სასტიკ მოპრყობასთან, რომელმაც ცხოველის დასახიჩრება გამოიწვია, მეორე შემთხვევაში ჩვენ საქმე გვექნება ცოცხალი არსების მიმართ არასათანადო მოპყრობაში, რაც შედარებით მსუბუქია და იწვევს მის წვალებას, ტანჯვას, სხეულის დაზიანებას და ა.შ.

რაც შეეხება ჯარიმებს, ცვლილებები მათაც შეეხო. ასკ მიხედვით და იმის გათვალისწინებით, ქმედება ერთხელ მოხდა თუ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ჯარიმა წარმოადგენს 100-დან 500 ლარამდე ოდენობას. სსკ მუხლის შემთხვევაში კი, წამების ერთჯერადი შემთხვევის დადასტურების შედეგადაც კი მოქალაქეს 6 თვიდან 1 წლამდე შინაპატიმრობა და 1 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. განმეორების, ჯგუფურად ან არასრულწლოვნის თანდასწრებით ჩადენილი დანაშაულისთვის დაწესებული 2 წლამდე პატიმრობის ვადა გაიზარდა 3 წლამდე.

ასევე, განხორციელდა, კიდევ ერთი ცვლილება – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. 172-ე მუხლს, სადაც საუბარია მშობლის პასუხისმგებლობაზე არასრულწლოვანი შვილის მიერ სხვადასხვა კანონდარღვევასთან დაკავშირებით დაემატა მნიშვნელოვანი ჩანაწერი. ცვლილებების შემდეგ, ხულიგნობას, ცივი იარაღის ტარებასა და მუხლით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულებრივ ქმედებებს დაემატა ცხოველის მიმართ არასათანადო ან სასტიკი მოპყრობა, რისი დადასუტრების შემთხვევაში 100-დან 300 ლარამდე დაჯარიმდება მშობელი.

[139] იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 104-ე და 172-ე მუხლები.

აღნიშნული ცვლილების განხორციელება სრულიად მისაღები და ძალიან სწორია, ვინაიდან საკანონმდელო ნორმა ხაზს უსვამს მშობლების პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას, სათანადო ყურადღება მიაქციონ შვილების მიერ ცხოველების მიმართ სისასტიკის გამოვლენის ფაქტებს.

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები არ არის ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის გარანტია, თუ არ მოხდება მათი აღსრულება და ჩადენილ დანაშაულზე სათანადო რეაგირება. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არსებობს „დაუსჯელობის სინდრომი“ ცოცხალ არსებათა მიმართ ჩადენილ სასტიკ ქმედებათა მიმართებით.აღნიშნულს მოწმობს სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, დღემდე, არც-ერთ დამნაშავეს არ შეფარდებია თავისუფლების აღკვეთა სსკ-ს 259-ე მუხლის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში არაერთი ფაქტი გავრცელებულა ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპრობის შესახებ, რომელმაც მათი დაღუპვა გამოიწვია.

თავისუფლების აღკვეთაზე, რომ არაფაერი ითქვას, ზოგადად, აღნიშნული მუხლებით გათვალისიწნულ დარღვევბზე რეაგირების ძალიან დაბალი მაჩვენებელია მთელს ქვეყანაში ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან. 2010 წლიდან 2017 წლის 10 თვის ჩათვლით, შსს-დან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტზე სულ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 8 შემთხვევაში, ხოლო სასამართლომ განიხილა 5 საქმე. საქართველოს პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად კი, მითითებულ პერიოდში დევნა 10 პირის მიმართ დაიწყო .[140]

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომებიც ზემოთ განვიხილე, უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა ეს არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ უკანონო ქმედებებს მოყვეს ეფექტური რეაგირება სახელმწიფო ორგანოებიბს მხრიდან.

6.5 ცნობიერების დონის ამაღლება

კომპანიონი ცხოველების კეთილდღეობის უზრუნველყოფა პირდაპირ კავშირშია საზოგადაოების ცნოებიერების დონესთან.

---

[140] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, პარლამენტმა ადამიანის კომპანიონ ცხოველების შესახებ საკანონმდებლო წინადადების განხილვა დაიწყო, (2018). ხელმისაწვდომია: https://www.transparency.ge/ge/post/parlamentma-adamianis-kompanion-cxovelebis-shesaxeb-sakanonmdeblo-cinadadebis-ganxilva-daicqo (ნანახია 06.07.2019)

ადამიანი მომხმარებლური კულტურის განვითარების პორცესში სულ უფრო მეტად სცილდება გარემოს, მის ფაუნას, რაც უარყოფითად აისახება მის დამოკიდებულებაზე და პასუხისმგებლობის გრძნობაზე მოწყვლადი ცოცხალი არსებების მიმართ. ასეთი გაუცხოება იწვევს აგრესიის მომატებას ახალგაზრდებში, სისასტიკეს და დაუნდობლობას ყოველი ცოცხალი არსების მიმართ, რომელსაც მათი აზრით არ აქვს რაიმე გამოყენებითი ღირებულება. სწორედ აქ იკვეთება სახელმწიფოსა და თვითმმართელი ორგანოების როლი განახორციელოს ყველა აუცილებელი ღონისძიება აღნიშნული შემთხვევების პრევენციისთვის. იქნება ეს სპეციალური ტრენინგები, საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეხვედრების მოწყობა, პროექტების განხორციელება თუ სხვა ღონისძიებები.

რეგიონებში არსებულ ცხოველთა კეთილდღეობის მარეგულირებელი, დადგენილებების გარკვეული ნაწილი ითვალისწინებს დათქმას საინფორმაციო და საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით. [141] თუმცა, საზოგადოებისთვის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ეს არ იყოს უბრალოდ ჩანაწერი კანონში და ნამდვილად ხდებოდეს მისი ყოველდღიურ ცხოვრებაში გადმოტანა. კომპანიონთა კეთილდღეობის საკითხებში მაღალკვალიფიციური მომსახურეობის და თანამედროვე ეროვნული გამოცდილების განვითარებისთვის აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა საგანმანათლებლო ინსტიტუტებს (სკოლები, კოლეჯები, უნივერსიტეტები) და ცხოველებთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართულ სამთავრობო უწყებებს შორის. ცხოველების კეთილდღობის მართვისა და დაცვის ეროვნული დონის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაწყებითი და საშუალო დონის საგანმანათლებლო დაწესებულების ჩართვა ახალგაზრდა თაობისთვის საკითხის მნიშვნელობის ახსნაში. სპეციალიზირებულ საუნივერსიტეტო საბუნებისმეტყველო პროგრამებში საათების საკმარისი რაოდენობა უნდა ეთმობოდეს საველე სამუშაოს, რომელიც ცხოველთა კეთილდღეობის საკითხებს შეეხება. ეს ყველაფერი კი განაპირობებს მოსწავლე-ახალგაზრდობის ჰუმანური და ეკოლოგიური ცნობიერების დამკვიდრებას და გარემოს მნიშვნელოვანი კომპონენტის, ფასეულობის სრულად აღქმას.

ამასთანავე, ფაქტობრივად არ არსებობს, ლიტერატურა ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით, არც ქათულ ენაზეა დამუშავებული და არც ნათარგმნი. არ არის ჩატარებული სხვადასხვა

[141] მაგალითად, ჩოხატაურის, ვანის, ახალქალაქის ხაშურის მუნიციპალიტეტეის დადგენილებები.

სახის კვლევები. შესაბამისად, ქვეყანაში არის ინფორმაციული ვაკუუმი. მსგავსი სიტუაცია იყო ამერიკის შეეღტებულ შტატებში, სადაც 1980 წლამდე არ არსებობდა ლიტერატურა ცხოველთა დაცვასთან დაკავშირებით. ასევე, ვერ შევხდებოდით ამ სფეროში სპეციალიზირებულ სამართალმცოდნეებს ან სამართლებრივ კურსებს. თუმცა, დღეს მდგომარეობა საგრძნობლად გამუჯობესებულია. [142] შესაბამისად, აუცილებელია გავითვალისწინოთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, მოხდეს თანამედროვე დონისა და საერთაშორისო პუბლიკაციაზე ორიენტირებული კვლევითი პროექტების განხორციელება. პროფესორებისა და ლექტორების პროფესიული ცოდნის უწყვეტი განახლება თანამედროვე მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში და სტუდენტების ჩართვა კვლევით პროექტებში.

ამ პრობლემას კიდევ უფრო ამძიმებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილე პირთა ცნობიერების დაბალი დონე. ის სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებულ დარგებსა და პოლიტიკის დაგეგმვაზე, არ არიან სათანადოდ ინფორმირებული ამ საკითხის მნიშვნელობის შესახებ, თუ რამდენად გადამწყვეტი როლი შეიძლება ითამაშოს მათმა ქმედებებმა და გადაწყვეტილებებმა ჩვენ გარშემო მობინადრე ცოცხალ არსებებზე და მათი ცხოვრების ხარისხზე. ამ პრობლემის მოგავრება, კი შესაძლებელია მხოლოდ განათლებისა და კომუნიკაციის დონის ამაღლებით. ყველა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებული უნდა იყოს უზრუნველოყოს ცხოველთა პოპულაციის მართვის ჰუმანური მეთოდების განხორციელება, რისთვისაც სახლემწიფოს მხრიდან მათ დასჭირდებათ ხელშეწყობა მეთოლოგიური ლიტერატურით და სპეციალისტების გადამზადების კუთხით. რაიონში არსებული ვეტერინარები უნდა ფლობდნენ სტერილიზაცია–კასტრაციის თანამედროვე მეთოდს. ამისათვის მათ გავლილი უნდა ქონდეთ გადამზადების ტრენინგი და ფლობდნენ თეორიულ ცოდნას ამ მეთოდის უპირატესობის შესახებ.

ასევე, აუცილებელია მოსახლეობის მაქსიმალური ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პორცესში. ჩასატარებელ სამუშაოებში უნდა შედიოდეს მოსახლეობის ინფორმირება, დროული ინფორმაციის მიწოდება, ახსნა - განმარტებები. ამისთვის, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოყენებული უნდა იყოს მედია სივრცე, სკოლები, საბავშვო ბაღები და სხვა.

[142] J. Curnutt, Animals and the Law: A Sourcebook, ,United States of America, 2001, გვ.6.

ყოველივე განხილულიდან გამომდინარე, ნათელია რომ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან აუცილებელია მეტი ყურადღება დაეთმოს კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებას ჩვენს საზოგადოებაში და აღნიშნულის ხელშესაწყობად განახორციელდეს ყველა აუცილებელი ღონისძიება.

III. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ კოპმანიონ ცხოველებს ადამიანის ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავიათ და ხშირ შემთხვევაში ისინი აღიქმებიან, როგორც „ოჯახის წევრები“, სამწუხაროდ, მათი დაცვისა და კეთილდღეობის საკითები ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება.

რამდენადაც, ადამიანისა და მასთან მობინადრე ცოცხალი არსებების კეთილდღეობა პირდაპირ და მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, აქედან გამომდინარე, კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არა მარტო, უშუალოდ მათთვის, არამედ, სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეებისთვისაც.

კვლევის შედეგად, საქართველოში კომპანიონ ცხოველთა დაცვის კუთხით გამოიკვეთა არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის გამოსასწორებლადაც, პირველ რიგში, უნდა მოხდეს საერთაშორისო კონვენციების აღიარება ქვეყნის პარლამენტის მიერ. პარალელურად, აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს კანონმდებლობა.

დღეის მდგომარეობით, საქართველოში არ არსებობს კანონი, რომლიც დაარეგულირებდა ჩვენ გვერდით მობინადრე ცოცხალ არსებებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. როგორც ვნახეთ, კომპანიონ ცხოველთა დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, იკვეთება არათანაბარზომიერი მიდგომა ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში, რამდენადაც დღესდღეობით მოქმედებს მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული, მხოლოდ 14 დადგენილება. შესაბამისად, ფაქტია, რომ გვაქვს ქალაქები, რაიონები, სოფლები, სადაც არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, კომპანიონი ცხოველები დაუცველები რჩებიან ადამიანებისაგან.

სწორედ ამ და სხვა მრავალი ხარვეზის გამოსასწორებლად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მიღებულ იქნეს კანონი, რომელიც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე იმოქმედებს და დაადგენს იმ მინიმალურ საერთაშორისო

სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს კომპანიონ ცხოველთა დაცვასა და კეთილდღეობას.

მართალია, აღნიშნულ საკითხებზე მიმდინარეობს მუშაობა და არსებობს კანონპროექტი, თუმცა ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. მნიშვნელოვანია, რომ კანონის მიღების მცდელობა მოკლე ვადაში წარმატებით დასრულდეს. აუცილებელია, მასში დარეგულირებული იყოს ცხოველთა გამრავლების კონტროლი, რაც გულისხმობს მომშენებლისათვის სპეციალური ნებართვისა და ლიცენზიის მინიჭების აუცილებლობას. აღნიშნული დათქმა გრძელვადიან პერსპექტივაში მიუსაფარი ცხოველების შემცირებას მოგვცემს. კანონით უნდა განისაზღვროს, კომპანიონ ცხოველთა ერთიანი დეფინიცია და მოხდეს კონკრეტული სახეობების ჩამოთლა, რომლებიც გაერთიანებული იქნებიან აღნიშნულ ცნებაში.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა დღეს არსებული, კომპანიონ ცხოველთა დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველმყოფი მექანიზმების განვითარების და დახვეწის აუცილებლობა. სახელმწიფოს მიერ უნდა აშენდეს მეტი თავშესაფარი, ხოლო არსებული დაწესებულებები მოვიდეს საერთაშირისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. მნიშვნელოვანია, დაიხვეწოს სტერილიზაციისა და ვაქცინაციის პროგრამა. ადგილობრივი ხელისფულების მიერ, არსებული საფრთხეების თავიდან აცილებისას, ცხოველთა კეთილდღეობასა და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ზრუნვისას, აუცილებელად უნდა იქნეს დაცული საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები და წესები, ხოლო ამ მიზნით, ადრე არსებული და ზოგიერთ რეგიონში ჯერ კიდევ შემორჩენილი მახინჯი პრაქტიკა ცოცხალი არსებების მოკვლასა და მექანიკურ განადგურებასთან დაკავშირებით სრულად უნდა იქნეს აღკვეთილი.

როგორც კვლევაში იქნა განხილული, საქართველში არ არსებობს ორგანო რომლის უშუალო მოვალეობაც იქნებოდა კანონმდებლობის აღსრულებაზე კონტროლის განხორციელება. ეს კი პირდაპირ პროპორციულად წარმოშობს სხვა ისეთ პრობლემებს, როგორიცაა პატრონთა მიერ საკუთარ კომპანიონთა მიმართ უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, ადამიანებში „დაუსჯელობის სინდრომის“ გაღვივება და სხვა. სახელმწიფომ პრიორიტეტად უნდა დაისახოს აღნიშნული საკითხის მოგვარება საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. რეკომენდირებულია შემოღებული იქნეს ნაშრომში მიმოხილული „ცხოველთა ინსპექტორის“ ინსტიტუტი და კანონით მოხდეს მათთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, როგორიცაა პარტნიორ ცხოველებისათვის

მიყენებული ზიანისა და ძალადობის ფაქტი გამოძიება, საჭიროების შემთხვევაში ცხოველის ჩამორთმევა, ჯარიმის დაკისრება და სხვა.

აღნიშნულის გარდა, ნაშრომში განხილულ იქნა ისეთი პრობლემური საკითხი, როგორიცაა მოსახლეობის მენტალობისა და ცნობიერების დაბალი დონე. რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ რეგულარულად უნდა ტარდებოდეს სპეციალურ კამპანიები საზოგადოებისთვის. მნიშვნელოვანია ყურადღების ცენტრში მოექცნენ საბავშვო ბაღები და სკოლები, სადაც უნდა მოხდეს ცნობიერების ასამაღლებლად აუცილებელი მეთოდების დანერგვა.

და ბოლოს, სახელმწიფო მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს, მასზე დაკისრებულ ვალდებულებას დაიცვას და უზრუნველყოს ადამიანის კომპანიონი ცხოველების კეთილდღეობა. ამისათვის, კი რეკომენდირებულია მოხდეს მრავალმიზნობრივი გეგმების შემუშავება, საერთაშორისო დონეზე აღიარებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს:

- ქვეყანაში ცხოველის, როგორც ცოცხალი არსების საარსებო გარემოს ხარისხის დამკვიდრებას;
- ცხოველების უსაფრთხოებას, სასიცოცხლო ფუნქციონირებას და მათი საარსებო გარემოს ხარისხის უზრუნველყოფას ცხოველთა კეთილდღეობის მსოფლიოში აღიარებული პრინციპების გათვალისწინებით;
- ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაციას, ცხოველთა პოპულაციის მართვას.

IV. გამოყენებული ლიტერატურა

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. St. Aronson, Animal conrtol management a new look at public responsibility, Purdue University, indiana, 2010;
2. S. Hunter/ Richard A. Brisbin, Pet Politics: The Political and Legal Lives of Cats, Dogs, and Horses in Canada and the United States, United States of America, 2016;
3. Ellen Schenk, Careers with Animals: Exploring Occupations Involving Dogs, Horses, Cats, Birds, Wildlife, and Exotics, United States of America, 2015;
4. Jordan Curnutt, Animals and the Law: A Sourcebook, United States of America, 2001;
5. Lisa Yount, Animal Rights, Revised Edition, United States of America, 2008;
6. Deborah Cao/Steven White, Animal Law and Welfare - International Perspectives, Ius Gentium: Comparative Perspectives on Law and Justice (Book 53), 1st edition, Switzerland, 2016;
7. Peter Marsh, Replacing Myth with Math: Using Evidence-Based Programs to Eradicate Shelter Overpopulation, United States of America, 2010;
8. Peter John Chen, Animal Welfare in Australia: Politics and Policy, Sydney University Press, Ausrtalia 2016;
9. Andreas Steiger, Pet animals: housing, breeding and welfare; Ethical Eye - Animal Welfare, Council of Europe, Belgium, November 2006;
10. David Sztybel, Distinguishing Animal Rights from Animal Welfare; Encyclopedia of animal rights and animal welfare / edited by Marc Bekoff with Carron A. Meaney, United States of America, 1998;

11. Tom Regan, Animal rights; Encyclopedia of animal rights and animal welfare / edited by Marc Bekoff with Carron A. Meaney, United States of America, 1998;

12. S. Smith, Animal Control Officer Handbook, First Edition, United States of America, 2011;

13. კობა მიქაძე, რედ.გრიგოლ მამაცაშვილი, შინაურ ცხოველთა ქცევა, თბილისი, 2014.

ინტერნეტ წყარო :

1. DR Fiona Cooke, BSc(Hons) MALaw; Professor Shelia Crispin, Written evidence, 2016. ხელმისაწვდომია:http://data.parliament.uk/writtenevidence/committeeevidence.svc/evidencedocument/environment-food-and-rural-affairs-subcommittee/animal-welfare-domestic-pets/written/30660.pdf;

2. What does an Animal Control Officer do?, The Coral Springs Police Department. ხელმისაწვდომია: https://www.coralsprings.org/government/other-departments-and-services/police/humane-unit/about-us/what-does-an-animal-control-officer-do. (ნანახია 11.06.2019);

3. World Animal Protection , The Animal Protection Index , 2019. ხელმისაწვდომია: https://api.worldanimalprotection.org/compare. (ნანახია 14.06.2019);

4. International and Foreign Animal Law Research Guide, Georgetow University Law Library, 2018. ხელმისაწვდომია: http://guides.ll.georgetown.edu/c.php?g=363480&p=2455777 (ნანახია 14.06.2019);

5. Lauren A. Fischer/Sherry Shankle /Joseph P. Schwieterman/Cynthia L. Bathurst, Companion Animals and Chicago Communities: A Strategic Assessment for the City of Chicago, Chaddick Institute for Metropolitan Development DePaul University Chicago, 2010;

6. 2019 Rings in New Laws to Protect Animals, Alley Cat Allies, 2018. ხელმისაწვდომია: https://www.alleycat.org/2019-rings-in-new-laws-to-protect-animals/. (ნანახია 16.16.2019);

7. Laws that Protect Animals, The Animal Legal Defense Fund, 2017. ხელმისაწვდომია: https://aldf.org/article/laws-that-protect-animals/. (ნანახია 16.06.2019);

8. Preventing Animal Cruelty and Torture (PACT) Act, Animal Welfare Institute, 2018. ხელმისაწვდომია: https://awionline.org/content/preventing-animal-cruelty-and-torture-pact-act. (ნანახია 16.06.2019);

9. State Laws and Statutes Covering Animals, The Animals and Society Institute, 2019. ხელმისაწვდომია: https://www.animalsandsociety.org/resources/federal-us-laws-regarding-animals/state-laws-and-statutes-covering-animals/. (ნანახია 16.06.2019);

10. The People's Dispensary for Sick Animals(PDSA), Paw Report 2018: The essential insight into the wellbeing of UK pets. ხელმისაწვდომია http://www.dogbreedingreformgroup.uk/uploads/5/5/5/6/55561953/pdsa_paw_report_2019.pdf;

11. GOV.UK, Animal welfare legislation: protecting pets, 2013. ხელმისაწვდომია https://www.gov.uk/guidance/animal-welfare-legislation-protecting-pets. (ნანახია 17.06.2019);

12. All-Party Parliamentary Group for Animal Welfare, Current Legislation, 2017. ხელმისაწვდომია: https://apgaw.org/current-legislation/ (ნანახია 17.06.2019);

13. RSPCA Australia, Are there laws that require companion animal breeders to meet certain standards of care?, 2019. ხელმისწვდომია: https://kb.rspca.org.au/knowledge-base/are-there-laws-that-require-companion-animal-breeders-to-meet-certain-standards-of-care/ (ნანახია 18.06.2019);

14. Michael Hayward, Companion Animals in Law – Animal Welfare and Animal Management.;

15. Steven White, Regulation of Animal Welfare in Australia and the Emergent Commonwealth: Entrenching the Traditional Approach of the States and Territories or Laying the Ground for Reform?, Standard regulatory approach, 2007. ხელმისაწვდომია http://www.austlii.edu.au/au/journals/FedLRev/2007/14.html. (ნანახია 18.06.2019);

16. Kelton Global. New Study Finds Dogs Make People Better, Happier and Healthier Humans. Blog Post. 2017. ხელმისაწვდომია:

https://www.keltonglobal.com/recognition/new-study-finds-dogs-make-people-betterhappier-healthier-humans/ (ნანახია 25.04.19);

17. Rebecca F. Wisch, Overview of Municipal Animal Control Ordinances, Michigan State University College of Law, 2005. ხელმისაწვდომია: https://www.animallaw.info/article/overview-municipal-animal-control-ordinances;

18. Queensland Government, Keeping exotic animals as pets in Queensland, 2015. ხელმისაწვდომია https://www.qld.gov.au/families/government/pets/keeping-exotic-animals-as-pets-in-queensland. (ნანახია 18.06.2019);

19. The ASPCA, Pet Statistics. ხელმისაწვდომია: https://www.aspca.org/animal-homelessness/shelter-intake-and-surrender/pet-statistics (ნანახია 21.06.2018);

20. Mark Curriden, Going to the Dogs: San Antonio Court Seeks to Enforce Animal Control Laws, ABA JOURNAL,2012. ხელმისაწვდომია: http://www.abajournal.com/magazine/article/going_to_the_dogs_san_antonio_court_seeks_to_enforce_ animal_control_laws/. (ნანახია 04.07.2019);

21. Reginfo, ოთხმა საკრებულომ შინაურ ცხოველებს შეჯვარება და გამრავლება შეუზღუდა. ხელმისაწვდომია: https://reginfo.ge/people/item/7889-otxma-sakrebulom-shinaur-zxovelebs-shejvareba-da-gamravleba-sheuzguda?fb_comment_id=1624362724353811_1624966740960076 (ნანახია 20.06.19);

22. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, ქუთაისის მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარი – 90 ათას ლარად მიღებული უხარისხო მომსახურება, 2015. ხელმისაწვდომია https://www.transparency.ge/ge/blog/kutaisis-miusapar-tskhoveltatavshesapari-90-atas-larad-mighebuli-ukhariskho-momsakhureba (22.06.2019);

23. newpress, ქუთაისში ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფარი გაიხსნა, 2017. ხელმისაწვდომია http://newpress.ge/qutaisshi-cxovelta-municipaluri-tavshesafari-gaixsna. (ნანახია 22.06.2019);

24. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს რეგიონებში ცხოველთა თავშესაფრების მშენებლობა იწყება,2018. ხელმისაწვდომია: http://www.mrdi.gov.ge/ge/news/საქართველოს-რეგიონებში-ცხოველთა-თავშესაფრების-მშენებლობა-იწყება-0. (ნანახია 22.06.2019);

25. livepress, ზუგდიდში მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის პროექტირებაზე ტენდერი გამოცხადდა, 2019. ხელმისაწვდომია: https://www.livepress.ge/ka/akhali-ambebi/article/28721-zugdidshi-miusafar-ckhoveltha-thavshesafris-proeqtirebaze-tenderi-gamockhadda.html. (ნანახია 22.06.2019);

26. socialnetwork, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 50 % მტრულად არის განწყობილი ცხოველებისადმი, 2014. ხელმისაწვდომია: http://www.socialnetwork.ge/en/interview/text/sazogadoeba/35-saqartvelos-mosakhleobis-daakhloebit--50--mtrulad-aris-gantskhobili-tskhovelebisadmi#.XPtlU4gzYdU. (ნანახია 21.06.2019);

27. სამხრეთის კარიბჭე, როგორი იქნება მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარი სამცხე–ჯავახეთში, 2018. ხელმისაწვდომია: http://sknews.ge/index.php?newsid=18294. (ნანახია 22.06.2019);

28. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, პარლამენტმა ადამიანის კომპანიონ ცხოველების შესახებ საკანონმდებლო წინადადების განხილვა დაიწყო,(2018).ხელმისაწვდომია: https://www.transparency.ge/ge/post/parlamentma-adamianis-kompanion-cxovelebis-shesaxeb-sakanonmdeblo-cinadadebis-ganxilva-daicqo (ნანახია 06.07.2019);

29. საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება, ცხოველთა ყოფა საქართველოში, ხელმისაწვდომია: http://gspsa.org.ge/animal-welfare/ (ნანახია 06.08.2019);

30. ცხოველთა კეთილდღეობის ეროვნული სტრატეგია (2014-2016), 2014.ხელმისაწვდომია http://www.parliament.ge/.

ელ. პუბლიკაციები:

1. WSAVA, Animal Welfare Guidelines, (2018). ხელმისაწვდომია: https://www.wsava.org/WSAVA/media/resources/Guidelines/WSAVA-Animal-Welfare-Guidelines-(2018).pdf;

2. The Royal Society for the Prevention of Cruelty to Animals, Improving the Welfare and Protection of animals, Ten issues for action by the next UK Government, a guide for

political party manifestos, 2014. ხელმისაწვდომია: http://politicalanimal.org.uk/wp-content/uploads/2014/09/GE-manifesto-final-print-version.pdf.

3. Animal Sheltering, The Oxford Handbook of Animal Studies, Edited by Linda Kalof, Oxford University Press, 2015, გვ. 5. ხელმისაწვდომია: https://www.academia.edu/18543976/_Animal_Sheltering_Oxford_Handbook_of_Animal_Studies.

4. Basic Management Guidelines for Dog Detailed Discussion Asia and the Humane Society International, 2010. ხელმისაწვდომია: https://www.animalsasia.org/cn/assets/pdf/1%20Basic%20Management%20Guidelines%20for%20Dog%20and%20Cat%20Shelters.pdf;

5. Humane Dog Population Management Guidance, International Companion Animal Management Coalition, 2007. ხელმისაწვდომია: http://animal.coa.gov.tw/download/resources/d/09_resources_d0301.pdf

6. Animal Medicines Australia, Pet Ownership in Australia, 2016. ხელმისაწვდომია: http://www.animalmedicinesaustralia.org.au/wp-content/uploads/2016/11/AMA_Pet-Ownership-in-Australia-2016-Report_sml.pdf;

7. Andrew N. Rowan, Companion Animal Statistics in the USA, The Humane Society Institute for Science and Policy Animal Studies Repository, 2019. ხელმისაწვდომია: https://animalstudiesrepository.org/cgi/viewcontent.cgi?article=1002&context=demscapop;

8. Christopher D. Seps, animal law evolution: treating pets as persons in tort and custody disputes, 2010. ხელმისაწვდომია: https://illinoislawreview.org/wp-content/ilr-content/articles/2010/4/Seps.pdf;

9. Animal welfare in England: domestic pets, House of Commons Environment, Food and Rural Affairs Committee, Third Report of Session 2016–17, 2016.ხელმისაწვდომია: https://publications.parliament.uk/pa/cm201617/cmselect/cmenvfru/117/117.pdf;

სტატიები:

1. Jessica Eisen, Animals in the Constitutional State, International Journal of Constitutional Law, Volume 15, Issue 4, 2017. ხელმისაწვდომია: https://doi.org/10.1093/icon/mox088;

2. Nicole R. Pallotta, Chattel or Child: The Liminal Status of Companion Animals in Society and Law, Animal Legal Defense Fund, USA, 2019. ხელმისაწვდომია: file:///C:/Users/ggg/Downloads/socsci-08-00158.pdf ;

3. Alice Collinson, Legal Protection of Animals in the UK, Michigan State University College of Law, 2018. ხელმისაწვდომია: https://www.animallaw.info/article/legal-protection-animals-uk;

4. Steven White, Companion Animals: Members of the Family or Legally Discarded Objects?, UNSW Law Journal Volume 32(3), 2009. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://www.austlii.edu.au/au/journals/UNSWLJ/2009/42.pdf;

5. Tracy Gillett ,Pet Overpopulation: A Global Crisis, International Animal Health Journal, Volume 1 Issue 2 , 2014. ეხელმისაწვდომია: https://www.animalhealthmedia.com/wp-content/uploads/2014/11/Pet-Overpopulation....pdf;

6. Kristen Pariser, Detailed Discussion of the Laws Regulating Rescue and Foster Care Programs for Companion Animals, Michigan State University College of Law, 2014. ხელმისაწვდომია: https://www.animallaw.info/article/detailed-discussion-laws-regulating-rescue-and-foster-care-programs-companion-animals;

7. Companion Animals: An Examination of Their Legal Classification in Italy and the Impact on their Welfare, Journal of Animal Law, Vol. IV, April 2008. ხელმისაწვდომია: https://www.animallaw.info/article/companion-animals-examination-their-legal-classification-italy-and-impact-their-welfare;

8. Christophe. D. Seps, animal law evolution: treating pets as persons in tort and custody disputes, 2010. ხელმისაწვდომია: https://illinoislawreview.org/wp-content/ilr-content/articles/2010/4/Seps.pdf;

9. Barry Bousfield/Richard Brown, Animal Welfare, Veterinary Bulletin - Agriculture, Fisheries and Conservation Department Newsletter, Volume No. 1 Issue No. 4, Hong Kong,2010.ხელმისაწვდომია:https://www.afcd.gov.hk/english/quarantine/qua_vb/files/AW8.pdf;

10. Blue Cross, Unpicking the Knots: the case for a more cohesive approach to pet welfare legislation,2016.ხელმისაწვდომია:http://www.dogbreedingreformgroup.uk/uploads/5/5/5/6/55561953/unpicking_the_knots_report.pdf;

11. What Is the Next Step for Companion Pets in the Legal System? The Answer May Lie with the Historical Development of the Legal Rights for Minors, Texas A&M Law Review, (2016). ხელმისაწვდომია: https://scholarship.law.tamu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1010&context=lawreview;

12. Paul W.C. Wong/ Rose W.M. Yu/Joe T.K. Ngai, Companion Animal Ownership and HumanWell-Being in a Metropolis—The Case of Hong Kong, International Journal of Environmental Research and Public Health, 16, 1729, (2019). ხელმისწვდომია: https://www.researchgate.net/publication/333159213_Companion_Animal_Ownership_and_Human_Well-Being_in_a_Metropolis-The_Case_of_Hong_Kong#pfc

13. Marina Verga/Manuela Michelazzi, Companion animal welfare and possible implications on the human-pet relationship, Ital.J.Anim.Sci. vol. 8, Italy, 2009. ხელმისაწვდომია:https://www.researchgate.net/publication/41393411_Companion_animal_welfare_and_possible_implications_on_the_human-pet_relationship;

14. Margot Michel/ Eveline Schneider Kayasseh, The Legal Situation of Animals in Switzerland: Two Steps Forward, One Step Back –Many Steps to go, Journal of Animal Law, Vol. VII, Michigan State University College of Law, (2011). ხელმისაწვდომია:https://www.afgoetschel.com/de/downloads/legal-situation-of-animals-in-switzerland.pdf.

ნორმატიული მასალა:

1. Universal Declaration of Animal Rights. ხელმისაწვდომია: http://declarationofar.org/textSign.php;

2. European Convention for the Protection of Pet Animals, Strasbourg, 13.XI.1987. ხელმოსაწვდომია: https://rm.coe.int/168007a67d;

3. European Convention for the Protection of Animals During International Transport. ხელმისაწვდომია: http://gspsa.org.ge/wp-content/uploads/2016/01/European-Convention-for-the-Protection-of-Animals-During-International-Transport.pdf;

4. OIE, Terrestrial Animal Health Code (2019). ხელმისაწვდომია: http://www.oie.int/index.php?id=169&L=0&htmfile=sommaire.htm;

5. Code of Federal Regulations, Title 9- Animals and Animal Products. ხელმისაწვდომია: https://gov.ecfr.io/cgi-bin/text-idx?SID=d049c7f5ca3b1fc0fee48a49ae0c7fe3&mc=true&node=se9.1.1_11&rgn=div8;

6. New South Wales, Companion Animals Act 1998 No 87. ხელმისაწვდომია: https://www.legislation.nsw.gov.au/inforce/8444158c-3268-4730-ab8e-eaf50faf4bc2/1998-87.pdf;

7. Republic of Lithuania, Law on Welfare and Protection of animals, 6 November 1997 No VIII-500. ხელმისაწვდომია: file:///C:/Users/ggg/Downloads/TAIS_455525%20(1).pdf;

8. Republic of Latvia, Animal Protection Law, 2000. ხელმისაწვდომია: https://likumi.lv/ta/en/en/id/14940;

9. Greece Animal Welfare Law (4039-12) & Amendments (4235-14). ხელმისაწვდომია: https://greeceexposed.wordpress.com/2013/02/23/animal-welfare-law-403912-plus-amendments-423514/;

10. საქართველოს კანონი "ცხოველთა სამყაროს შესახებ";

11. საქართველოს ორგანულ კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

12. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“;

13. საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“;

14. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის დადგენილება №17-56 "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაფუძნების და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ.";

15. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის დადგენილება №7-28 "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ";

16. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 მაისის №36 დადგენილება " წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესი";

17. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მაისის დადგენილება №13/22 "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები, კატები და სხვა კომპანიონი ცხოველები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ";

18. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება "ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების – ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ";

19. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის დადგენილება №30 "ქალაქ ამბროლაურში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ";

20. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 ივნისის დადგენილება №41 "ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადრი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ";

21. თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვალის დადგენილება №8 "თვითმმართველი ქალაქის - ბათუმში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ";

22. საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვარის დადგენილება №5 "საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველ(ებ)ის (ძაღლი , კატა და სხვა კომპანიონი ცხოველ(ებ)ის) მოვლა-პატრონობისა და მათი ყოლის წესის დამტკიცების შესახებ".

<u>სასამართლო გადაწყვეტილება</u>

1. People v. Garcia, Supreme Court, Appellate Division, First Department, New York, March 28, 2006. ხელმისაწვდომია: https://scholar.google.ca/scholar_case?case=16893401706066961601&q=29+AD+3d+255&hl=en&as_sdt=2,5.